# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 22 მარტი 2002 №49 (1571) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ქართველი

## გახოკიძემ კალაძე მარტო დატოვა

მილანი
ინტერი
დორტმუნდი
ფეიენოორდი

UEFA CUP





REUTERS მილანიდან



REUTERS როტერდამიდან

კახა კალაძე პირველი ქართველია, უეფას თასის ნახევარფინალს რომ უწია, გიორგი გახოკიძემ კი გაცუდებული პენალტით ეს შანსი ხელიდან გაუშვა

აბა, სად ოთხშაბათის ჩემპიონთა ლიგის მატჩები და სად გუშინდელი უეფას თასისა — უეფამ დაჩრდილა ლიგა. წუხელ სენსაციები არ მომხდარა, მაგრამ შეხვედრათა მსვლელობები იყო ისეთი...

ჰექტორ რაულ კუპერს სამივე შეცვლა გამოყენებული ჰქონდა და მშვიდადაც იყო, მისი „ინტერი" ნიკოლა ვენტოლას ადრეული გოლით ამარცხებდა მისსავე ყოფილ „ვალენსიას" და მატჩის დასრულებამდე წუთიღა რჩებოდა. აქ კი დროის გაყვანისთვის ფრანჩესკო ტოლდოს მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალეს და მილანელები უმეკარეოდ დარჩნენ. განა ძნელი წარმოსადგენია, როგორ შტურმს მოუწყობდნენ მასპინძლები ყოფილი დამრიგებლის გუნდს, რომლის კარის დაცვაც ასევე ყოფილმა ვალენსიელმა მცველმა ფრანსისკო ფარინოსმა იკისრა...

ფარინოსმა გაძლო, კუპერმა კი მეორედ დაალონა „მესტალია" — ჯერ წასვლით, ახლა კი დაბრუნებით.

ბოლო წუთამდე იგებდა „პსვ ეინდჰოვენიც" და უბედობით საქმე საპენალტოდ გაუხდა. ბოლო წუთზე გამთანაბრებელმა ფეიენოორდელებმა იქაც იძალეს და ეინდჰოვენელთა ოთხ გატანილ პენალტს ხუთით უპასუხეს. სტუმართაგან ის ერთი პენალტი გიორგი გახოკიძემ გააფუჭა...

ამრიგად, „ფეიენოორდი" ერთი ნაბიჯითაც მიუახლოვდა ფინალს, რომელიც მისსავე სარბიელზე გაიმართება.

„მილანმა" კი „ჰაპოელის" ტრიუმფალურ სვლას წერტილი დაუსვა, რაც საკმაოდ იოლად მოახერხა. ხოლო ჩვენთვის ეს გამარჯვება სხვა მხრივ არის გამორჩეული — კახა კალაძე პირველი ქართველი ფეხბურთელი გახდა, ვინაც უეფას თასის ნახევარფინალამდე გააღწია. გავიხსენოთ, რომ კალაძე ჩემპიონთა ლიგის ერთადერთი ქართველი ნახევარფინალისტიცაა.

კიდევ უფრო იოლად გაუსწორდა „დორტმუნდი" „ლიბერეცს".

დღეს კი წილისყრაა, ჩემპიონთა ლიგისაც და უეფას თასისაც. უეფას შტაბბინაში თბილისის დროით 15.30 საათზე კალათაში ხელს ჩაყოფენ და გუშინდელ მატჩების გარჩევიდან ახალდაწყვილებულთა შანსების გარჩევაზე გადავერთვებით.

# დიდინი ფაჩულიას ფლავივით დაუტკბა

ბოლო ათი წელია, თურქეთში მილეთის ქართველი დადის, რომელთა მეტი წილი აქ სხვადასხვა ტიპის ვაჭრობას მისდევს (ფერადი ლითონები, სხეული და ასე შემდეგ), მაგრამ თურმე შეიძლება, სამხრეთ სამეზობლოში მყოფი ჩვენიანის ამბავმა კარგ ხასიათზე დაგვაყენოს. ეს დღეებია, სასიამოვნო ცნობები მოდის სტამბოლის „ულქერში" მოთამაშე ქართველი ყმაწვილის, ზაზა ფაჩულიას შესახებ, რომელიც რყევათა სერიის შემდეგ — ხან სტამბოლის დატოვება სურდა, უფრო კი მოედანზე შესვლა ჰქონდა სანატრელი — თურქული კლუბის ლიდერობისკენ სავალ გზაზე ჩანს. ჩემპიონატის თამაშში ფაჩულიამ „ტელეკომს" 19 ქულა ჩაუგდო და სულ აიწყვიტა თურქეთის თასის მეოთხედფინალში „თელ კოლეჯის" წინააღმდეგ, როცა 26 ქულას მოუყარა თავი. რაც მთავარია, ფაჩულია ბოლო თამაშებში უკვე ხანგრძლივი დროით მოძრაობს ფარიდან ფარამდე და „სარბიელთან" ინტერვიუში „ულქერის" მწვრთნელი მურათ დიდინი არ მალავს, რომ მომავალშიც მისი ნდობა ექნება. გუშინ დილით მურათ-ბეი ფაჩულიას პირისპირ ელაპარაკა, ხოლო საღამოს თურქებს უმნიშვნელოვანესი მატჩი ელოდათ: ჩემპიონთა ლიგაში თელ ავივის „მაკაბისთან", რომელიც ჩვენებურის ხათრით სამწუხაროდ 78:91 წააგეს. ზაზას დიდინმა სასტარტოში დააწყებინა თამაშში.

ინტერვიუ მურათ დიდინთან და ზაზა ფაჩულიასთან იხილეთ მეცამეტე გვერდზე




ზაზა ფაჩულია

# შელსმა საქართველო რჩეულიდან ამოხია

გუშინ იტალიაში დაწყებულ ჭაბუკ მორაგბეთა მსოფლიოს თასის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრებმა ტრევიზოს გარეუბან მირანოში უელსელებთან 3:13 წააგო და ახლა 9-16 ადგილებისთვის მოუწევს ბრძოლა. გუშინვე დავუკავშირდით ტრევიზოში მყოფ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს და კომენტარი ვთხოვეთ.

— ბიჭებს თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ ვერას გახდნენ. თავიდან ჩვენები დაწინაურდნენ ოთარ ბარკალაიას ჯარიმით. დაახლოებით მე-10 წუთისთვის მას ზედახორაში თავში ფეხი ჩაარტყეს და შესაცვლელი შეიქნა. მგონი, ტვინის შერყევა უნდა ჰქონდეს. ტაიმი 3:6 წავაგეთ. ეს ანგარიში მატჩის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე უცვლელი იყო. ამ დროისთვის ჩვენებმა შტურმი მოუწყვეს უელსელებს, ნალდი ლელოც გაიტანეს, მაგრამ შოტლანდიელმა მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა. მერე მოედანზე გუნდური ჩხუბიც ატყდა, მსაჯმა კი მარტო ქართველი გააძევა. კაცნაკლულები გატყდნენ და ბოლოსკენ ლელო გაუშვეს. ერთი სიტყვით, ბიჭებმა ჯიგრით კი ითამაშეს, მაგრამ მსაჯს ვერ მოერივნენ. ვიცი, ამას მე არ უნდა ვამბობდე მაგრამ მერწმუნეთ, ასე იყო. ამაში ბევრი სპეციალისტი დამეთანხმა...

ჭაბუკი ბორჯღალოსნები მომდევნო მატჩს კვირას გამართავენ. მათი მეტოქე არგენტინა — იაპონიას შორის გამარჯვებული იქნება.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი. მეოთხედფინალი
### საპასუხო მატჩები. გუშინ

**მილანი** (იტალია) 2:0 **ჰაპოელი** (თელ ავივი, ისრაელი) (0:1)
1:0 რუი კოშტა (5), 2:0 გერშონი (45ს.კ.)
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა, ლაურსენი, კალაძე, გატუზო, ალბერტინი, ამბროზინი, რუი კოშტა (ბროკი 90), ინძაგი (ხავი მორენო 90), სიმონე (დონატი 81)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ჰაპოელი: ელიმელეხი, ბაჩარი, გერშონი, დომბი, ბილელი (უდი 88), ონიშჩენკო (ტომამ 68), აბუქსისი, ბალმაი, ბიშონტი, კლეშჩენკო (ბალილი 73), ოსტერცი
მწვრთნელი: დრორ კაშტანი
გაფრთხილება: რუი კოშტა, აბუქსისი, ამბროზინი
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
23 184 მაყურებელი

**ფეიენოორდი** (ჰოლანდია) 1:1დ.დ. (პენ.5:4, 1:1) **პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია) (1:1)
0:1 ვან ბომელი (75), 1:1 ვან ჰოოიდონკი (90)
პენალტები: 0:1 ბრუგინკი, 1:1 ონო, 1:2 ოიერი, 2:2 პაუვე, 2:2 მახოძიძე (მცდარი), 3:2 ვან ვონდერენი, 3:3 ჰაინცე, 4:3 ბოსველტი, 4:4 კეჟმანი, 5:4 ვან ჰოოიდონკი
ფეიენოორდი: ზუტებირი, ემერტონი, ვან ვონდერენი, პაუვე, რუასა (ლეონარდუ 85), კალუ, ბოსველტი, ონო, ვან პერსი (შმოლაროკი 71), ტომასონი (ელმანდერი 85), ვან ჰოოიდონკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოიერი, ფაბერი, ჰაინცე, რომედალი (მახოძიძე 78), ვან ბომელი, ლუსიუსი (რამზი 65), ბუმა, კეჟმანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (ბრუგინკი 90)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ვან ბომელი, ფაბერი, კალუ, ბოგელუნდი, ჰაინცე, ბრუგინკი, ვან ბომელი, ონო
გაძევება: ვან ბომელი (94)
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
43 000 მაყურებელი

**ვალენსია** (ესპანეთი) 0:1 **ინტერი** (იტალია) (1:1)
0:1 ვენტოლა (2)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა (ჯეუკიჩი 16), აურელიო, კურო ტორესი, რუფეტე, ალბელდა (მისტა 72), დე ლოს სანტოსი (ბარახა 46), ვისენტე, აიმარი, კარეუ
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, გრეშკო, კონსეისაუ (ზეედორფი 58), ფარინოსი, დი ბიაჯო, გულიელმინპიეტრო (შიმიჩი 76), ვენტოლა (დალმა 65), კალონი
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
გაფრთხილება: მატერაცი, დი ბიაჯო, კალონი, კარეუ, დალმა, ტოლდო, ფარინოსი, ტოლდო
გაძევება: ტოლდო (89)
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
50 000 მაყურებელი

**დორტმუნდი** (გერმანია) 4:0 **ლიბერეცი** (ჩეხეთი) (0:0)
1:0 ამოროზო (51), 2:0 კოლერი (57), 3:0 რიკენი (70), 4:0 ევერტონი (90)
დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, ვორნსი, მეცელდერი, დედე, რეიტერი, ჰაინრიხი, რიკენი (სტევიჩი 73), როსიცკი (ოლისე 77), ამოროზო (ევერტონი 73), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ლიბერეცი: კინსკი, პილნი, ჩაპეკი (ჰოდური 59), ჰოლენაკი, იანუ, იოჰანა, ლანგერი, კოლუშეკი, ზბონჩაკი (იუნი 82), სტაინერი, ნეზმარი (გიანი 59)
მწვრთნელი: ლადისლავ იაკორბილი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
36 500 მაყურებელი



REUTERS დორტმუნდიდან

დორტმუნდი — ლიბერეცი. სტუმრებს ერთი გოლი იან კოლერმაც (მარჯვნივ) გაუტანა




REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — ინტერი. „მესტალიაზე“ დიდი ძიძგილაობა იყო



REUTERS მილანიდან

მილანი — ჰაპოელი. მარკო სიმონე ებრაელებს გადაახტა



REUTERS მილანიდან

თელავიველმა ქომაგებმა „სან სიროზე“ დროშა ვერააფრიალეს




REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — ინტერი. მილანელთა კარს ფარინოსი აეფარა

## შვეიცარია
### თასის მეოთხედფინალი

ლუცერნი 0:0 (პენ. 3:4) გრასჰოპერი
ვილი (II) 1:1დ.დ. (პენ. 9:10, 1:1) ლოზანა
ვანგენი (II) 2:2დ.დ.(2:2) იანგ ბოისი
ციურიხი 1:4 ბაზელი

## ამხანაგური მატჩი

იაპონია 1:0 უკრაინა

## კალათბურთი

## ევროლიგა
### მეორე ჯგუფური ეტაპი. III ტური. 21 მარტი

**E ჯგუფი**
ბარსელონა 76:75 ბენეტონი

**H ჯგუფი**
ულქერი 78:91 მაკაბი

**G ჯგუფი**
აეკ 66:73 პანათინაიკოსი
ოლიმპია 66:75 ოლიმპიაკოსი

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური. C ჯგუფი

# მადრიდულ ულვაშს ლაკორუნიული ცხვირი სურს


REUTERS ფოტო

სპარტა — პორტუ. ბერძენთა ფრემ პრაღულ ჯახს აზრი დაუკარგა

**პანათინაიკოსი 2:2 რეალი**

1:0 ლიბეროპულოსი (9), 1:1 მორიენტესი (11), 2:1 გუმასი (64), 2:2 პორტილიო (80)

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, გუმასი, სეიტარიდისი, ფისასი, მიკაელსენი, კარაგუნისი, გალეტო, ლიბეროპულოსი (ფოკოლოსი 77), ვლაოვიჩი (ვარგასი 86), კონსტანტინუ (ოლისადებე 71)

მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი

რეალი: კასილიასი, ჯერემი, კამპო, რუბენი, რაულ ბრავო, კონსეისაო, სელადესი, მინამბრესი, მაკმანამანი (სოლარი 79), სავიო (ვალდო 74), მორიენტესი (პორტილიო 60)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: კარაგუნისი, კამპო

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

17 000 მაყურებელი

**„ბარსელონასთან"** გაშვებული გოლის გამო ვისენტე დელ ბოსკემ სესარის ნაცვლად კარი ათენში იკერ კასილიასს ანდო, რომელიც ჯერ კიდევ გასახურებლად დახტოდა, როცა ნიკოს ლიბეროპულოსმა ბურთი ზურგს უკან აუფართხალა. ბერძენმა გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე ყიჟინა დასცეს და ჯგუფში წაუგებელად მავალი „რეალის" დამარცხება მოელანდათ. იმდენად იყვნენ გაბრუებულნი გატანილი გოლით, რომ „პანათინაიკოსის" ფეხბურთელებმა, წამით ჩათვლიმეს. ფხიზლად მყოფმა სტუმრებმა მასპინძლებს თვალის მილულვა არ აპატიეს. სტივ მაკმანამანმა კაპიტან მორიენტესს ბუმბულივით ბურთი დაასვა თავზე. იმ მომენტში მთელმა საბერძნეთმა რატომღაც თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. სერხიო მარქარიანი და მისი კალმიან-რვეულიანი ამფსონები უსამართლობის მსხვერპლს დაემსგავსნენ. გვერდით მსაჯს ალამი მშვიდად, ცხვირჩამოშვებული ეკიდა. მთავარმა არბიტრმა დომენიკო მესინამაც საეჭვო ვერაფერი იყნოსა და მორიენტესს გატანილი გოლი ჩაუთვალა.

მეორე ტაიმში ბერძნებმა ისევ მოინდომეს „რეალის" ერთხელ მაინც დამარცხება. კარგად ჩაწოდებულ ჯარიმას „პანათინაიკოსის" კაპიტანმა კარგად მომზადებული თავრიელა დაუხვედრა. ეპიზოდი ისეთი დინამიკური იყო, კასილიასი გახევებული დარჩა. ამ გოლამდე ერთი დასამახსოვრებელი ცვლილება მოხდა, ფერნანდო მორიენტესი ყმაწვილმა ხავიერ გარსია პორტილიომ შეცვალა.

მატჩი დასალიერისკენ მიიწურებოდა — ათი წუთიღა რჩებოდა, მადრიდის „რეალი" გათანაბრებას ლამობდა. საიდანღაც, მოედნის სიღრმიდან, პორტილიო ბურთით გამოიკვეთა. ცაციით ჯერ მოეფერა, მერე კი ცაციითვე ისეთი ჰკრა, რომ ბურთსაც ესიამოვნებოდა. ნიკოპოლიდისი კი არა, ორჯერ უფრო გრძელი გვარის მქონე მეკარეც ვერ აიღებდა პორტილიოს დარტყმულს. ასე აღნიშნა ხავიერ გარსია პორტილიომ დებიუტი, რომელიც ულვაშა კაცმა, დელ ბოსკემ, თამაშის მერე აქო და ადიდა. მადრიდელთა მწვრთნელმა ნამატჩევს თქვა: „დიდი სურვილი მაქვს, მეოთხედფინალში „დეპორტივოს" გადავეყაროთ. ეს იქნება გარანტია ნახევარფინალში ერთი ესპანური გუნდის გასვლისა, თანაც სამეფო თასის ფინალში დაგვჩაგრეს და ცხვირში უნდა ამოვადინოთ".

სერხიო მარქარიანი: „ჩვენი დღევანდელი კარგი თამაში უპირველესად კარგმა ფსიქოლოგიურმა განწყობამ განაპირობა. რვა ევროპულ გრანდში „პანათინაიკოსიც" რომ გაერია, ეს ბერძნული ფეხბურთის წინსვლის მაჩვენებელია. პირადად ვისურვებდი, მეტოქედ „მანჩესტერ იუნაიტედი" გვერგოს. მიმაჩნია, რომ მანჩესტერში მსოფლიოს სამი საუკეთესო ფეხბურთელი თამაშობს — დევიდ ბექემი, ხუან სებასტიან ვერონი და რუუდ ვან ნისტელროი".

**სპარტა 2:0 პორტუ**

1:0 სიონკო (63), 2:0 იაროშიკი (71)

სპარტა: ჩეხი, ფლახბარტი, [illegible], [illegible] ნოვოტნი, მარეში, სიონკო (კლეინი 90), [illegible], იაროშიკი, [illegible] (ზავადილი 46), [illegible] ([illegible] 79)

მწვრთნელი: [illegible]

პორტუ: პაულუ სანტუში, პარედესი, იბარა, მარიუ სილვა, ჟორჟე ანდრადე, რიკარდუ სილვა, კოშტინია (რაფაელი 66), პოსტიგა (მენა 46), დეკო სოუზა (სოდერსტრიომი 73), ნუნუ კაპუშუ, კლეიტონი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: კლეიტონი, კოშტინია, მარეში, ჩიჟეკი

მსაჯი: ჰოლგერ შტარკი (გერმანია)

10 521 მაყურებელი

**„პორტუს"** მეოთხედფინალში გასაძრომად უნდა... მოკლედ, „პორტუ" მეოთხე ადგილზე გამოიჭიმა. ჩეხურ „სპარტას" პორტუგალიურმა გუნდმა ავანჩავანი ვერაფრით გაუგო. შინაც არაფერი გამოუვიდა და სტუმრადაც ისე გალია 90 წუთი, ჩეხს გოლი ვერ გაუტანეს. პირველ ტაიმში პოსტიგას ჰქონდა საგოლე. მცველს ჭილოში აჯობა, გამოსულ მეკარეს ბურთი თავზე გადაავლო, მაგრამ კარს ოდნავ ააცილა. მასპინძლები კი, თავის მხრივ, სადაც ბურთს მოიხელთებდნენ, პაულუ სანტუშს უგზავნიდნენ, აიღე, თუ ბიჭი ხარო. ისიც იგერიებდა, სანამ შეეძლო. მეორე ტაიმში ლიბორ სიონკო ვერც მცველმა შეაჩერა და ვეღარც მეკარემ. სიონკომ ზუსტად დარტყმულით ანგარიში გახსნა. მალევე იაროშიკმა საჯარიმო შეასრულა და უშნოდ მხტუნავი „პორტუს" კარის დარაჯი ხახამშრალი დატოვა. „ჩვენ გვინდოდა, ბოლო მატჩი მოგვეგო და ლიგის კარი გაგვეჯახუნებინა, რაც შევძელით კიდეც" — ბრძანა ნამატჩევს ტომას ჰუბშმანმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:5 | 16 |
| პანათინაიკოსი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| სპარტა | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | 6 |
| პორტუ | 6 | 1 | 1 | 4 | 3:7 | 4 |

„რეალი" და „პანათინაიკოსი" გავიდნენ მეოთხედფინალში

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური. D ჯგუფი

# არსენა გაისისთვის დაიმუქრა

**დეპორტივო 1:3 ლევერკუზენი**

0:1 ბალაკი (34), 0:2 შნაიდერი (54), 1:2 ტრისტანი (75), 1:3 ნოიველი (86)

დეპორტივო: ნუნო, ექტორი (ტრისტანი 67), სეზარი, ნაიბეტი, კაპდევილა, დუშერი (ვალერონი 60), მაურო სილვა, ამავისკა, ჯალმინია, მაკაი, პანდიანი (სერხიო 60)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ლევერკუზენი: ბუტი, სებესკენი, ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლასენტე, შნაიდერი (ვუკოვიჩი 90), ბალაკი, რამელო, ზე რობერტო, ბაშთურქი (ვრანიეში 88), ბრდარიჩი (ნოიველი 64)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: ნოვოტნი, კაპდევილა, ბრდარიჩი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

23 000 მაყურებელი

**მეორე ეტაპის** ბოლო სათამაშო დღის მთავარი მოულოდნელობა ლა კორუნიას „რიასორზე" მოხდა, ლევერკუზენის „ბაიერმა" „დეპორტივოს" მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა, ლონდონის „არსენალი" კი ჯგუფში ჩატოვა. მოულოდნელობაო ვთქვით, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „დეპორტივომ", ვისაც პლეი ოფის საგზური ბოლო ტურამდე დაებევებინა, ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი სკამზე დატოვა და არც მინდორზე მყოფთ მოუკლავთ დიდად თავი. დაცვა ხშირად ცდებოდა და შესვენებაზე სტუმრები რამდენიმებურთიანი უპირატესობით უნდა წასულიყვნენ. ჯერ საჯარიმოს გარედან ბალაკმა დაარტყა ძლიერად, მაგრამ მასპინძელთა მეკარე ნუნომ ივაჟკაცა, მერე ბრდარიჩი შევარდა საჯარიმოში, მეკარეს ბურთი თავზეც გადაუგდო და გალისიელები ხარიხამ გადაარჩინა. მალევე შნაიდერმა ვერ ივარგა, რომელიც ზე რობერტოს ჩაწოდების შემდეგ ახლოდან ურტყამდა. რამდენიმე წუთში მასპინძელთა დაცვა კვლავ აირია და ბაშთურქმა სამი მეტრიდან მეკარეს მოარტყა ბურთი. მოკლედ, გოლი მწიფდებოდა და გავიდა კიდეც. ზე რობერტომ მარცხენა ფრთაზე ბრდარიჩი მოძებნა, ამან საჯარიმოში ჩააწოდა და ბალაკმა თავით ხარიხის ქვეშ გაიტანა. ეს ამბავი ტაიმის დამთავრებამდე თერთმეტი წუთით ადრე მოხდა, დარჩენილ დროშიც სტუმრები აწვებოდნენ, იმავე ბალაკმა ახლოდან კარს ზემოთ დაარტყა, ხოლო ბრდარიჩის 25 მეტრიდან დარტყმული ჯვარედინას მოხვდა.

მასპინძლებმა კი რა? რა და თამაში სულ ერთხელ გაამწვავეს და მაშინაც მაკაი თამაშგარეში მოხვდა. მეორე ტაიმის დაწყებიდან ცხრა წუთი გასულიყო, როცა „ლევერკუზენმა" მეორე გაიტანა, ზე რობერტომ კუთხურიდან ბურთი შორეულ ძელთან ჩააწოდა და იქ ყველას შნაიდერმა დაასწრო. ლაკორუნიელთა მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ მხოლოდ ამის შემდეგ გაიყვანა ვალერონი, სერხიო და ტრისტანი, ამ უკანასკნელმა ერთი საპასუხოც შეაგდო, მაგრამ ბოლოსკენ ბრდარიჩის მაგიერ შესულმა ნოივილმა თავით იმარჯვა და ყველაფერი ძველებურადვე დატოვა.


REUTERS ფოტო

იუვენტუსი — არსენალი. ჯანლუკა პესოტომ ლონდონელი ფრედერიკ ლიუნგბერგი ლამის უმისუროდ დატოვა

„სამი ბურთი გავუშვით, ამიტომ აუცილებელია ყველაფერი წვრილად გავაანალიზოთ — თქვა მერე ირურეტამ — 1:2-ზე მივაწექით და გათანაბრება ვცადეთ, მაგრამ მესამე გოლმა, რომელიც სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევის წყალობით გაგვიტანეს, ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. მიუხედავად ამისა, დავძენ, რომ ასეთი მატჩები ბევრს გასწავლის კაცს, რადგან გუნდის ყველა უარყოფითი მხარე უცებ გამოჩნდება ხოლმე".

ლევერკუზენელთა დამრიგებელი კლაუს ტოპმიოლერი: „მოწინააღმდეგეს უწინარესად ტაქტიკურად ვაჯობეთ. წინა დღეებში „დეპორტივოს" რამდენიმე თამაშის ჩანაწერი ვნახეთ, ძალიან სერიოზულად მოვემზადეთ და შედეგიც მივიღეთ".

საინტერესოა, რომ ტოპმიოლერს ადრეც დაუმარცხებია „დეპორტივო". 1993-94 წლების სეზონში მისმა „აინტრახტმა" გალისიელები უეფას თასიდან გააგდო.

**იუვენტუსი 1:0 არსენალი**

1:0 ზალაიეტა (76)

ანრიმ ვერ გაიტანა პენალტი (51, მეკარე)

იუვენტუსი: კარინი, ბირინდელი, იულიანო, პარამატი (პესოტო 24), ძენონი, ძამბროტა (ამორუზო 70), კონტე, დავიდსი, მარესკა, გუსმანი (პერიკარი 61), ზალაიეტა

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, ლუენი, კემბელი, ლორენი (კოული 82), ლიუნგბერგი, ვიეირა, ედუ (ვილტორდი 79), პირესი, ანრი, კანუ

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ვიეირა, დავიდსი, პესოტო

მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)

7 470 მაყურებელი

**„იუვენტუსმა"** „არსენალს" ლამის მეორე შემადგენლობით მოუგო და ამ გამარჯვებაში მთავარი როლი ორმა ურუგვაელმა ითამაშა, გოლის გამტანმა ზალაიეტამ და მეკარე ფაბიან კარინიმ, ვინც ტიერი ანრის პენალტი მოიგერია.

ლონდონელთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა კი წლევანდელი ოცნება ვერ აისრულა, მას სამი მწვერვალის: პრემიერლიგის, ასოციაციის თასისა და ჩემპიონთა ლიგის დაპყრობა სურდა, მაგრამ...

როგორც ვთქვით, „იუვენტუსმა", ვინც მეოთხედფინალში გასვლის შანსი წინა ტურშივე დაკარგა, მეთოფეებს გაახალგაზრდავებული გუნდით დაუხვდა, ხოლო „დელე ალპის" ტრიბუნებზე მხოლოდ რვა ათასამდე ქომაგი მოგროვდა. მასპინძლებმა გამარჯვებისა დამთავრებამდე თოთხმეტი წუთით ადრე გაიტანეს, სტუმრებმა კი თერთმეტმეტრიანი ხომ გააცუდეს და პირესმა, ლიუნგბერგმა და ანრიმ საუცხოო საგოლე მომენტებიც ვერ გამოიყენეს.

„ორმაგი გრძნობა დამეუფლა — განაცხადა ტურინელთა თავკაცმა მარჩელო ლიპიმ — კარგად ვითამაშეთ, ჩვენმა ახალგაზრდობამ კი დაამტკიცა, რომ ბევრი რამ შეუძლია. გული იმაზე მწყდება, ჯგუფში საკადრისი ადგილი რომ ვერ დავიკავეთ, ამ მხრივ, გადამწყვეტი „დეპორტივოსთან" საშინაო ფრე გამოდგა".

„შედეგმა გამაწბილა — დასძინა ვენგერმა — ბოლო წუთამდე ვიბრძოდით, მაგრამ იღბალმა ზურგი გვაქცია. „ლევერკუზენის" გამარჯვებამაც გამაკვირვა, თუმცა მეოთხედფინალში გაუსვლელობის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. ეგ არაფერი, მჯერა, რომ ახლო მომავალში „არსენალი" მსოფლიოს საუკეთესო კლუბი გახდება. ახლა დასკვნებს გამოვიტანთ და შინაურ ჩემპიონატსა და თასს მივხედავთ, გაისად კი ჩემპიონთა ლიგას აუცილებლად მოვიგებთ".

**სოლომონ გულისაშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:11 | 10 |
| დეპორტივო | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 10 |
| არსენალი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| იუვენტუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |

„ლევერკუზენი" და „დეპორტივო" გავიდნენ მეოთხედფინალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაიმახსოვრეთ ფეხსაცმლის მწმენდავი...


კრის ბურკი ნაღდი „ჩაფარი" გახდა

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXXIII ტური

**რეინჯერსი 5:0 კილმარნოკი**

1:0 მაკკანი (24), 2:0 კანჩელსკისი (33), 3:0, 4:0 მაკკანი (40, 61), 5:0 ბურკი (80)

რეინჯერსი: კლოსი, ლ. ამორუზო, ნუმანი (მუნტილია 73), მალკოლმი, კანჩელსკისი (ბურკი 78), მორის როსი, ს. ჰიუზი, ნერლინგერი, ლოვენკრანდსი, მაკკანი, ბ. დოდსი

შოთა არველაძე განაცხადში ვერ მოხვდა

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: როსი

მაედი: როუბოთემი

40 768 მაყურებელი

**მოზერუელი 0:4 სელტიკი**

0:1 ლამბერტი (10), 0:2, 0:3 ლარსონი (53, 61), 0:4 მაილზი (78)

**ოთხშაბათ** საღამოს „რეინჯერსმა" თავის „აიბროქსზე" უშოთაარველაძეოდ დაიბრიყვა საშუალო „კილმარნოკი". სამი გოლი ნილ მაკკანმა გაიტანა, ვინც წინა კვირას „ჩაფრებთან" ერთად პირველ პრიზს, ლიგის თასს დაეპატრონა. ერთი ბებერმა რუსმა, ანდრეი კანჩელსკისმა შეაგდო და როგორც კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, წლეულს თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა. მაგრამ მთავარი მოვლენა მაინც 18 წლის დებიუტანტ კრის ბურკის გოლი გახლდათ. გოლი, რომელიც დამთავრებამდე ათი წუთით ადრე გავიდა. ბურკი ჯერაც 18 წლამდელთა გუნდის წევრია და „მიურეი პარკზე" ხანდახან მენეჯერ ალექს მაკლიშის ფეხსაცმელსაც წმენდს ხოლმე, მაგრამ ოთშხაბათს ისე შევიდა შეცვლაზე, თქვენი მოწონებული.

რეინჯერთა ფანებისთვის კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე ის იყო, რომ აგვისტოს შემდეგ პირველი 90 წუთი ითამაშა კრისტიან ნერლინგერმა და მისი დაბრუნება აშკარად დაეტყო „ჩაფართა" შუა ხაზს. „რეინჯერსმა" კი შინ დაუმარცხებელი სერია სარეკორდო 21 მატჩამდე გაზარდა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 33 | 29 | 3 | 1 | 78:15 | 90 |
| რეინჯერსი | 33 | 23 | 8 | 2 | 75:23 | 77 |
| აბერდინი | 32 | 15 | 5 | 12 | 46:43 | 50 |
| ლივინგსტონი | 32 | 13 | 9 | 10 | 40:35 | 48 |
| ჰართსი | 32 | 12 | 6 | 14 | 43:43 | 42 |
| კილმარნოკი | 33 | 11 | 9 | 13 | 37:46 | 42 |
| დანფერმლაინი | 32 | 11 | 7 | 14 | 37:52 | 40 |
| დანდი | 32 | 10 | 7 | 15 | 35:48 | 37 |
| დანდი იუნ. | 32 | 9 | 8 | 15 | 31:54 | 35 |
| მოზერუელი | 33 | 9 | 6 | 18 | 42:61 | 33 |
| ჰიბერნიანი | 32 | 7 | 10 | 15 | 41:50 | 31 |
| სენტ ჯონსტონი | 32 | 4 | 4 | 24 | 20:55 | 16 |


ოლივიე დაკურს (ქვევით) „ლიდსი" და „ლაციო" აბურთავებენ

# ჩხუბი, სამი წითელი და სამი ქულა

## ინგლისი

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**ნორვიჩი 2:1 ჯილინგემი**

0:1 ონურა (17), 1:1 ისტონი (55), 2:1 კენტონი (65)

**შეფილდ იუნაიტედი 3:2 მილუოლი**

0:1 აიფილი (29), 1:1 ტონგე (68), 1:2 ნიტერკოტი (73), 2:2, 3:2 ნდლოვუ (88, 90)

**სტოკპორტი 2:1 მანჩესტერ სიტი**

0:1 მაკენი (19), 1:1, 2:1 ბარდიკერი (85, 90)

**ბარნლი 1:1 ბრედფორდი**

1:0 ჯონსონი (20), 1:1 იორგენსენი (78)

**პრესტონი 2:2 ქრიუ**

1:0 მაკკენა (1), 1:1 ლანტი (17), 2:1 კროსველი (19), 2:2 ჰალსი (77)

16 მარტის „შეფილდ იუნაიტედ" — „ვესტ ბრომვიჩის" ჩაშლილ მატჩში „ვესტ ბრომვიჩს" ტექნიკური გამარჯვება ჩაეთვალა

**დიდი** შეხლა-შემოხლით დასრულდა ინგლისის პირველ დივიზიონში „შეფილდ იუნაიტედისა" და „ვესტ ბრომვიჩის" ბოლო ტურის კვირის მატჩი, უფრო სწორად კი, ვერ დასრულდა...

თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე, როცა ანგარიში სტუმართა სასარგებლოდ 3:0 იყო, მასპინძელთა მოთამაშეებმა — პატრიკ საფომ და ჯორჯ სანტოსმა მოწინაალმდეგე ფეხბურთელ ენდი ჯონსონს წიხლები ურტყეს და გასაშველებლად მისული სტუმართავე კაპიტანი დერეკ მაკინსიც ზედ მიაყოლეს. მსაჯმა ორივე ხულიგანი მოედნიდან გააძევა და თამაშიც შეწყვიტა, რადგან ამათ გაძევებამდე შეფილდელთა მეკარე საიმონ ტრეისი უკვე გაგდებული ჰყავდა, ხოლო ორი მოთამაშე დაუშავდათ და ვინაიდან სამივე შეცვლა უკვე გაკეთებული ჰქონდათ, მოედანზე ისედაც რვანი დარბოდნენ.

მოგეხსენებათ, საფეხბურთო წესების თანახმად, თუ მოედანზე ერთი გუნდის შემადგენლობაში მინიმუმ შვიდი ფეხბურთელი მაინც არ თამაშობს, მატჩი ჩაშლილად ითვლება და ეს მატჩიც ამიტომ შეწყდა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ შეფილდური ამბავი განიხილა და ვესტბრომვიჩელებს კუთვნილი სამი ქულა ჩაუთვალა, ხოლო შეფილდელ ხულიგნებს სასჯელს ამ დღეებში გამოუტანს.

„შეფილდ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, ასოციაციის ნებისმიერ გადაწყვეტილებას დავეთანხმებითო და ხულიგან ფეხბურთელთა დასჯას თავადაც შეუდგა. საფო ტრანსფერზე დააყენეს, ხოლო სანტოსს გუნდიდან გაგდებას უპირებენ.

სხვათა შორის, ეს ფეხბურთელები მოედანზე გაძევებამდე ერთი წუთის შესულები იყვნენ.

**ლუკა გეგეჭკორი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 40 | 26 | 5 | 9 | 91:48 | 83 |
| ვულვზი | 40 | 23 | 9 | 8 | 70:36 | 78 |
| ვესტ ბრომვიჩი | 39 | 21 | 7 | 11 | 48:26 | 70 |
| ბარნლი | 40 | 19 | 11 | 10 | 63:52 | 68 |
| ქოვენთრი | 40 | 20 | 5 | 15 | 58:43 | 65 |
| მილუოლი | 40 | 18 | 10 | 12 | 61:46 | 64 |
| ბირმინგემი | 39 | 18 | 9 | 12 | 58:45 | 63 |
| ნორვიჩი | 40 | 18 | 7 | 15 | 52:49 | 61 |
| პრესტონი | 40 | 16 | 12 | 12 | 60:54 | 60 |
| უიმბლდონი | 39 | 15 | 13 | 11 | 56:47 | 58 |
| კრ. პალასი | 40 | 18 | 4 | 18 | 65:58 | 58 |
| უოტფორდი | 40 | 15 | 10 | 15 | 58:46 | 55 |
| ჯილინგემი | 40 | 15 | 9 | 16 | 57:59 | 54 |
| შეფილდი | 40 | 13 | 14 | 13 | 45:48 | 53 |
| ნოტინგემი | 40 | 11 | 17 | 12 | 43:40 | 50 |
| პორტსმუთი | 40 | 13 | 11 | 16 | 57:64 | 50 |
| ბრედფორდი | 40 | 13 | 8 | 19 | 63:71 | 47 |
| როტერჰემი | 40 | 10 | 15 | 15 | 48:59 | 45 |
| უენსდი | 40 | 11 | 11 | 18 | 44:63 | 44 |
| ქრიუ | 37 | 11 | 10 | 16 | 39:60 | 43 |
| გრიმსბი | 40 | 10 | 12 | 18 | 39:62 | 42 |
| უოლსოლი | 40 | 10 | 10 | 20 | 43:64 | 40 |
| ბარნსლი | 40 | 8 | 15 | 17 | 52:75 | 39 |
| სტოკპორტი | 40 | 4 | 8 | 28 | 37:92 | 20 |



შეფილდელი პატრიკ საფოს (მარცხნივ) გამგზავრებამ „ვესტ ბრომვიჩს" ვერაფერი დააკლო, თავად კი საქმე წაიხდინა

# ოლივიეს სალათი

## ლაციო, ლიდსი, ლაციო... დაკური გვირილაზე მკითხაობს

**„ლიდს იუნაიტედის"** ფრანგი ოლივიე დაკური სეზონის ბოლოს შესაძლოა, რომაულ „ლაციოში" გადაბარგდეს. რომაელთა თქმით, შეთანხმება, რომლის ღირებულებაც ოცდახუთი მილიონი ევროა, უკვე მიღწეულია. მაგრამ იბადება სავსებით ბუნებრივი კითხვა: თუკი შეთანხმება მიღწეულია, დაკურის იტალიაში გადასვლა რატომ არის შესაძლო?

საქმე ის გახლავთ, რომ გუშინ „ლიდსის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე ასეთ ცნობას ამოიკითხავდით: „კლუბი ადასტურებს „ლაციოს" მხრიდან დაკურით უდიდეს დაინტერესებას. ამასთანავე გაზეთ „გაძეტა დელო სპორტში" დაიწერა, თითქოს წინასწარი კონტრაქტი უკვე ხელმოწერილია და ფეხბურთელი რომში ოთხი წლით მიდის. ამის საპასუხოდ ჩვენ ვაცხადებთ, რომ არანაირი კონტრაქტი არ არსებობს".

ახლა რომაელთა ბანაკში გადავინაცვლოთ. სამშაბათს „ლაციოს" პრეზიდენტს, სერჯო კრანიოტის სტუმარი ჰყავდა — „ლიდსის" თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილი, რომელიც საკუთარ სახლში მიიღო. შეხვედრის შემდეგ კი კრანიოტიმ პრესისთვის განცხადება გააკეთა: „მართალია, რაიმე დოკუმენტი არ გაგვიფორმებია, მაგრამ სიტყვიერ შეთანხმებას მივაღწიეთ და იმედი მაქვს, კონტრაქტიც უახლოეს მომავალში გაფორმდება. „ლაციოს" პრესმდივანმა ლაურა ძაჩეომ კი თქვა: „ამ დღეებში, უკიდურეს შემთხვევაში მომდევნო კვირაში, უშუალოდ ფეხბურთელის აგენტს შევხვდებით და პირადი კონტრაქტის პირობებს საბოლოოდ შევათანხმებთ".

მოკლედ, ოლივიე დაკური „ლიდსიდან" „ლაციოში" გადადის და თან არც გადადის...

თუმცა კლუბებს შორის შეთანხმების არსებობის სასარგებლოდ, ინგლისური კლუბის მძიმე ფინანსური მდგომარეობა მიგვანიშნებს. მენეჯერმა დევიდ ოლირიმ საუწელიწადნახევარში გუნდის შენებას ასი მილიონი გირვანქა მოახმარა და თითქოს შედეგიც მოიმკო — „ლიდსი" შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტია. მაგრამ მიმდინარე სეზონში იორკშირელები ვერაფრით დაიკვეხნიან — ვერც ლიგაში გააღწიეს, უეფას თასიდანაც გავარდნენ, ხოლო პრემიერლიგაში ოდენ მეექვსე ადგილზე არიან და, როგორც ჩანს, მომდევნო სეზონშიც ულიგოდ დარჩებიან. შედეგად, კლუბი კვლავაც გაძლიერების აუცილებლობის წინაშე დადგა, მაგრამ რომ იყიდო, ფული უნდა გქონდეს, ფული კი „ლიდსს" არა აქვს. ბოლო ექვს თვეში ზარალმა 22,5 მილიონი ევრო შეადგინა. ჰოდა, რა გასაკვირია, „ლიდსი" ფეხბურთელებს რომ ყიდდეს. რაც შეეხება ოლივიე დაკურს, 2000 წლის მაისში „ლანსიდან" მისი გადაბირება ლიდსელებს 7,2 მილიონი გირვანქა დაუჯდათ, ახლა კი „ლაციო" თითქმის სამჯერ მეტს სთავაზობს. და კიდევ, ფინანსური პრობლემების გამო „ლიდსმა" გამოაცხადა, რომ 25-კაციანი შემადგენლობის შემცირებას აპირებს.

დაკურის გადასვლა-არგადასვლასთან დაკავშირებით, მისმა აგენტმა ბრუნო სატინმა თქვა: „ოლივიე „ლიდსში" თავს ბედნიერად გრძნობს, აქაური ქომაგებიც მას უდიდეს პატივს სცემენ და წასვლას არ აპირებს. ვადასტურებ, რომ ამ მომენტისთვის შეთანხმება არ არსებობს და რაც ამ ტრანსფერზე ითქვა, ჭორია". ჩვენ კი დავძინოთ, რომ ფეხბურთელთა აგენტებისთვის ამგვარი, ყველაფრის უარმყოფელი განცხადებები ჩვეულებრივი ამბავია და, როგორც წესი, კონტრაქტში უკეთესი პირობების ჩაწერას ისახავს მიზნად.

ხოლო სერჯო კრანიოტი თავისას მაინც არ იშლის: „ლაციო" ახალი ფეხბურთელების ძიებითაა დაკავებული და ოლივიე დაკური სწორედ ის არის, ვინც ჩვენს ამბიციებს შეესაბამება".

ის, რომ დაკური „ლაციოსთვის" მართლაც უაღრესად სასურველი ფეხბურთელია და მის გადასაბირებლად ძალას და ფულს არ დაიშურებს, ამ ფაქტითაც მტკიცდება: ხუან სებასტიან ვერონის „მანჩესტერ იუნაიტედში" გაყიდვის მერე, რომაელებმა არგენტინელის ღირსეული შემცვლელი ვერ იპოვეს და ერთ ხანს მის უკან დაბრუნებაზეც ლაპარაკობდნენ. ოლივიე დაკური კი ის ფეხბურთელია, ვერონობის გაწევა რომ შეუძლია.

**ირაკლი ნინიძე**


სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი

კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა

გულის დაავადებების თანამედროვე სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა

- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)

☎ 53-73-00; 95-00-33

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ფასი შეთანხმებით

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7 კინოთეატრ "სულიაკოსთან"

☎ (231) 7 17 58



**მარსელ დესაი** „მილანში“ გატარებულ წლებს იგონებს და გვამცნობს, იმხანად „როსონერიში“ ჰოლანდიურ კლანს ჩაეყარა საფუძველიო. კლანს ოთხი წევრი ჰყავდა — ედგარ დავიდსი, მიხაელ რაიციგერი, პატრიკ კლუივერტი და უინსტონ ბოგარდი. აი, რას ამბობს ჰოლანდიურ კვარტეტზე ფრანგი: „ეს ოთხეული თითქოს განცალკევებული იყო და კლუბის სხვა წევრებთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. საკმარისი იყო ერთ-ორ ვარჯიშს დასწრებოდი და უმალ შეატყობდი, რომ მათ „მილანზე“ გული ჰქონდათ აცრუებული. ამასთან ერთად რაიციგერს ფეხბურთის თამაშის ნიჭიც არა აქვს. ის არამცთუ „მილანში“, საერთოდ სერია A-შიც არ უნდა თამაშობდეს“.

მოგეხსენებათ, გოლიათი მცველი, ერთ ხანს, მარსელის „ოლიმპიკის“ ღირსებასაც იცავდა და ფრანგულ კლუბთან ერთად ჩემპიონთა თასი მოუგია. ამის შემდეგ გადაბარგდა იგი „მილანში“. მარსელულ კლუბში გატარებული წლებიდან კი დესაის ყველაზე მეტად ის ახსენდება — როგორ აყლაპებდნენ ყოველი თამაშის წინ ფეხბურთელებს რაღაც აბებს, თუმცა დესაი თავის წიგნში არ წერს, თავადაც დაულევია თუ არა ეს აბები.

ახლა დესაი 33-წლისა გახლავთ და ბოლო რამდენიმე სეზონია, ლონდონის „ჩელსიში“ ირჯება, თან კაპიტანია. წიგნში ის ყოფილ თანაკლუბელებს ასმენს, ზოგიერთი მათგანი გამოუსწორებელი ლოთიაო. მარსელი იმ დროს იხსენებს, როცა ლონდონურ გუნდში მწვრთნელად ჯანლუკა ვიალი მუშაობდა. მაშინ იყო ლოთობა თუ იყოო — იხსენებს ფრანგი — ჩელსელთა ლოთბანდა სვამდა ყველგან, სადაც კი ერთად მოიყრიდა თავს, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა ავტობუსში ან თვითმფრინავში გალეშილანო.

მთლად სასაცილო რამ გადახდენია „ჩელსის“ სარეზერვო გუნდის ერთ-ერთ მოთამაშეს, რომლის გვარიც დესაიმ წიგნში არ გაამხილა. ლონდონური კლუბი ტენერიფეში იყო ჩასული და ის ფეხბურთელი მოულოდნელად სადღაც გამქრალა. შეშფოთებულ ჩელსელებს ყმაწვილი კარგა ხანს უძებნიათ და ბოლოს სასტუმროს ბარში უგონოდ მთვრალი უნახავთ, დახლთან ქვედა საცვლის ამარა მჯდომი. უფრო ზუსტად, პოლიციას უპოვია და მერელა გაუგიათ, რომ ლონდონელი სტუმარი იყო.

# ყველაფერს ვიტყვი! კარგი ბიჭი დესაი ცუდ ბიჭებზე

*საფრანგეთის ნაკრების მცველმა მარსელ დესაიმ სკანდალური ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა. უფრო თუ დავაზუსტებთ, ფრანგულ გაზეთ „მონდის“ ჟურნალისტმა ფილიპ ბრუსარომ აიღო კალამი ხელში და თანამემამულე ფეხბურთელის მოგონებებისგან შექმნა წიგნი, სათაურით — „კაპიტანი“.*



**მარსელ დესაიმ და მისმა მეუღლე ვირჯინიამ სამ შვილს ერთი წიგნიც შემატეს**

„მახსოვს, როცა სტამბოლში „გალათასარაის“ მოვუგეთ და უკან ლონდონში ვბრუნდებოდით, თვითმფრინავში ისეთი სმა წავიდა, ერთმანეთს ბოთლებს ესროდნენ“ — იგონებს დესაი, ჯანლუკა ვიალის კი თურმე ხმა არ ამოუღია, მაგრამ მეორე დღიდან კლუბში უმკაცრესი მშრალი კანონი დაუწესებია. ისე კი ვიალის ძალიან უჭირდა მსმელთა ბანდასთან გამკლავებაო, ირწმუნება ფრანგი.

„ჩელსის“ ყოფილ კაპიტან დენის უაიზზე დესაი ამბობს, სულაც არ იყო გუნდისთვის ის ძალა, როგორიც ხალხს ეჩვენებოდაო. შეგახსენებთ, რომ უაიზი „ჩელსიდან“ „ლესტერში“ გადაბარგდა.

ლონდონელთა ახლანდელი თავკაცი კლაუდიო რანიერი ვიალიზე მკაცრი ვინმე ყოფილა, თუმც დესაი წერს, ნურავის ეგონება, ზოგიერთი ჩელსელი ახლაც არ ლოთობდეს და მწვრთნელს არ აცურებდესო. ვიალის და რანიერის შორის კი ის განსხვავებაა, რომ როცა ახლანდელი თავკაცი ვინმეზე რამეს შეიტყობს, უფრო მკაცრად ექცევაო. მაგალითად, შარშან ოთხი ჩელსელი ლონდონის პაბში გამომთვრალა და როცა ეს რანიერის გაუგია, მთელი გუნდი დაუბარებია საგანგებო შეკრებაზე, ბევრი ულაპარაკია მორალზე, ხოლო ოთხეულისთვის ჯარიმა დაუკისრებია.

ისე კი, როგორც წიგნიდან ირკვევა, თავად დესაი ზედმიწევნით მოწესრიგებული პიროვნებაა, რომელიც თუ დალევს, ძალიან იშვიათად და სკანდალებშიც არასდროს გახვეულა.

„რანიერიმ კაპიტნად დამნიშნა. ახლა ჩემი ამოცანაა, გუნდში წესრიგზე ვიზრუნო. ვცდილობ, როცა „ჩელსი“ ვარჯიშობს, სკანდალური არაფერი მოხდეს. ხოლო როცა „ჰარლინგტონის“ საწვრთნელ ბაზას დავტოვებთ და ყველა თავის გზაზე წავა, პასუხს აღარ ვაგებ, ვინ საით გადაუხვევს“ — ასეთია დესაის მორალი.

წიგნი კი უკვე შემოიდო დახლებზე...

**ნიკა შუბლაძე**

## ამხანაგური მატჩი

**მომავალ** ოთხშაბათს საფრანგეთის ნაკრები ამხანაგურ მატჩში შოტლანდიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. შეხვედრა „სტად დე ფრანსზე“ ჩატარდება.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც ბრიტანელებთან სათამაშოდ მოემზადებიან. ლემერმა ნიკოლა ანელკასა და იური ჯორკაეფის გუნდში გამოძახება საჭიროდ არ ჩათვალა.

შოტლანდიის წინააღმდეგ ნაკრებში მიწვეულია „ფულემის“ ფორვარდი სტივ მარლე, რომელმაც ბოლოს ეროვნულ გუნდში შარშან სექტემბერში ჩილესთან მატჩში ითამაშა. საგულისხმოა, რომ იგი მაშინ „ლიონში“ ირიცხებოდა, ახლა კი პრემიერლიგაში გადავიდა და ნაკრებშიც დააბრუნეს.

ფრანგთა გუნდში კვლავ გამოიძებნა კრისტიან კარამბუს ადგილი, რომელიც ძალიან წარმატებულ სეზონს ატარებს ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“. ლემერმა ასევე გადაწყვიტა, „ბარსელონას“ მცველ ფილიპ კრისტენვალისთვისაც გამოეძებნა ადგილი, რომელსაც, როგორც ამბობენ, კორეა-იაპონიაშიც იახლებს.

ლემერის დასახელებული შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები:** ფაბიენ ბარტეზი („მანჩესტერ იუნაიტედი“, ინგლისი), ულრიხ რამე („ბორდო“)

**მცველები:** ვენსან კანდელა („რომა“, იტალია), ფილიპ კრისტენვალი („ბარსელონა“, ესპანეთი), მარსელ დესაი („ჩელსი“, ინგლისი), ფრანკ ლებეფი („მარსელი“), ბიქსენტ ლიზარაზუ („ბაიერნი“, გერმანია), მიკაელ სილვესტრი („მანჩესტერ იუნაიტედი“, ინგლისი)

**ნახევარმცველები:** ერიკ კარიერი („ლიონი“), კლოდ მაკელელე („რეალი“, ესპანეთი), ემანუელ პეტი („ჩელსი“, ინგლისი), რობერ პირესი („არსენალი“, ინგლისი), კრისტიან კარამბუ („ოლიმპიაკოსი“, საბერძნეთი), პატრიკ ვიეირა („არსენალი“, ინგლისი), ზინედინ ზიდანი („რეალი“, ესპანეთი)

**თავდამსხმელები:** ტიერი ანრი („არსენალი“, ინგლისი), სტივ მარლე („ფულემი“, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე („იუვენტუსი“, იტალია), სილვენ ვილტორდი („არსენალი“, ინგლისი)

## Copa Toyota Libertadores '2002

### ლიბერტადორესის თასი 2002

**II ჯგუფი. IV ტური**

**12 დე ოქტუბრე (პარაგვაი) 1:0 სიენსიანო (პერუ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| 12 დე ოქტუბრე | 4 | 3 | 0 | 1 | 5:5 | 9 |
| ორიენტე პეტროლერო | 4 | 1 | 0 | 3 | 9:11 | 3 |
| სიენსიანო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |

**III ჯგუფი. V ტური**

**რეალ პოტოში (ბოლივია) 6:1 პენიაროლი (ურუგვაი)**
**ელ ნასიონალი (ეკვადორი) 3:0 სან ლორენსო (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პენიაროლი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:7 | 9 |
| ელ ნასიონალი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| სან ლორენსო | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| რეალ პოტოში | 5 | 2 | 0 | 3 | 10:14 | 6 |

**IV ჯგუფი. V ტური**

**ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) 2:0 ოლმედო (ეკვადორი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლმედო | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | 9 |
| ატლეტიკო პარანენსე | 5 | 1 | 2 | 2 | 10:10 | 5 |
| ამერიკა დე კალი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ბოლივარი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:11 | 5 |

**V ჯგუფი. V ტური**

**სპორტინგ კრისტალი (პერუ) 2:3 ველეს სარსფილდი (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მორელია | 4 | 2 | 2 | 0 | 10:5 | 8 |
| ნასიონალი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:8 | 8 |
|ველეს სარსფილდი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| სპორტინგ კრისტალი | 5 | 0 | 0 | 5 | 5:13 | 0 |

**VI ჯგუფი. V ტური**

**მონტევიდეო უონდერერზი (ურუგვაი) 3:1 სანტიაგო უონდერერზი (ჩილე)**
**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 1:0 ემელეკი (ეკვადორი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონტევიდეო უონდერერზი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| ბოკა ხუნიორსი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 10 |
| სანტიაგო უონდერერზი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | 6 |
| ემელეკი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:8 | 1 |

**VIII ჯგუფი. V ტური**

**ონსე კალდასი (კოლუმბია) 2:1 ოლიმპია (პარაგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ონსე კალდასი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | 9 |
| ოლიმპია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| უნივერსიდად კათოლიკა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ფლამენგო | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |



**ინგლისში** „უემბლის“ რეკონსტრუქციის პროექტი დამტკიცდა და სამუშაოები მალე დაიწყება. ახლა ფეხბურთის ასოციაცია სპონსორების ძიებაშია. მოლაპარაკება ბანკ Barclays-თან მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ „უემბლიზე“ თამაში უკვე ორი წელია, არ ჩატარებულა.

**აშშ-ის ნაკრების მწვრთნელმა ბრიუს არენამ ის 20 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც გერმანიასთან ამხანაგურ მატჩში ითამაშებენ. „ჩვენ კვლავაც ფეხბურთელების ძიებაში ვართ. MLS-ში ახლა ბევრი კარგი მოთამაშე გამოჩნდა“ — თქვა არენამ. აქვე აღვნიშნოთ, რომ როსტოკში აშშ-ის ნაკრებს ახალწვეული კორი გიბსიც გაჰყვება, რომელიც „ზანკტ პაულის“ ღირსებას იცავს.**

**ბრაზილიის** ნაკრებისა და ესპანური „ბარსელონას“ ნახევარმცველი რივალდო იუგოსლავიასთან ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშებს. ბრაზილიელმა ფეხბურთელმა შესაძლოა, კიდევ ათიოდ დღეს ვერ შეძლოს თამაში მარცხენა მუხლის ტრავმის გამო. ლუიშ ფელიპე სკოლარის პრობლემები კი ამით სულაც არ ამოიწურება. კერძოდ, იტალიური „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის თქმით, რონალდოს ნაკრებში მანამ არ გაუშვებს, სანამ ის სრულად არ გამოჯანმრთელდება.

**ინგლისური „ნიუკასლის“ ნახევარმცველი კირონ დაიერი კვლავ დაშავდა, თუმც სერიოზული არაფერია. „ნიუკასლს“ კიდევ ერთი ფეხბურთელი, მოლ ამეობი გამოაკლდა, რომელმაც მყესები დაიზიანა. შეგახსენებთ, რომ დაიერი ამ სეზონში ტრავმებმა გააწამა და ბობი რობსონის გუნდში ძალიან ცოტა მატჩი ჩაატარა.**

**ფრანგული** „ნანტის“ ნახევარმცველმა ოლივიე კენმა ტრავმა მიიღო და ორი კვირით ჩამოშორდა ფეხბურთს. „სედანის“ ყოფილ მოთამაშეს ჩემპიონთა ლიგაში, პორტუგალიურ „ბოავიშტასთან“ მატჩში, ორი ნეკნი გაუტყდა.

**ნიგერიის ნაკრების კაპიტნის ვინაობა ჯერაც გაურკვეველია. მას შემდეგ, რაც გერმანული „დორტმუნდის“ ნახევარმცველმა სანდი ოლისემ ნაკრებში თამაში იუარა, კაპიტნის სამკლავური ახალ მეპატრონეს ელის. მთავარ კანდიდატად ინგლისური „არსენალის“ ფორვარდ ნვაკვო კანუს მიიჩნევენ. ნაკრების თავკაცმა, 64 წლის ონიგბინდემ კი სამუნდიალო 54 მოთამაშის სია გამოაქვეყნა. სწორედ ამ ფეხბურთელებიდან შეირჩევა მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელთა ვინაობა. საინტერესოა, რომ ონიგბინდეს რჩეულთა შორის არ მოხვდნენ ტარიბო ვესტი, იკე შორუნმუ და აუგუსტინ ოკოჩა.**

**იტალიური** სერია A-ს მომავალი ტურის მატჩები წუთიერი დუმილით დაიწყება. საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ ხელისუფლების მრჩეველი მარკო ბიაჯი მოკლეს. ეს გადაწყვეტილება იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო.

**რუსული „ზენიტის“ მოთამაშე ვლადიმირ მუდრიჩინი ვარჯიშზე დაშავდა და დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში იძულებითი დასვენება მოუწევს. მუდრიჩინს ბარძაყის კუნთი გაუწყდა.**

**ინგლისური** „ევერტონის“ ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ჟინოლა კლუბში დარჩენას სეზონის ბოლომდე აპირებს. „მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებას მივაღწიეთ და ჟინოლა კლუბში კონტრაქტის ბოლომდე, ზაფხულამდე, დარჩება“ — წერს „ევერტონის“ ოფიციალური საიტი.

**ტუნისის ნაკრების ფრანგმა თავკაცმა ანრი მიშელმა ნორვეგიასთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ ორ დებიუტანტს — დავიდ ჟემალის და ახმედ ჟაუაშის უხმო. ჟემალი ფრანგული „ბორდოს“ მცველია, ჟაუაში კი მეკარე. ამ მატჩში ნაკრებს დაუბრუნდება გერმანული „ფრაიბურგის“ თავდამსხმელი ადელ სელიმიც.**

**პარაგვაის** ნაკრების თავდამსხმელი უგო ბრისუელა მძიმედ დაშავდა. მექსიკური „პაჩუკას“ ფორვარდმა ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში მიიღო ტრავმა და დაახლოებით ექვსი თვით გამოაკლდა ფეხბურთს. ცხადია, ბრისუელა ვერც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს.

**რუსული „სპარტაკის“ ნახევარმცველი ეგორ ტიტოვი და თავდამსხმელი დმიტრი სიჩევი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობენ. ორივეს მცირე ტრავმები აწუხებთ, თუმც სერიოზული არაფერია. მომავალ ტურში „სპარტაკი“ მთავარ კონკურენტ „ლოკომოტივს“ ხვდება. ამ მატჩში „სახალხო გუნდს“ დისკვალიფიკაციის გამო იური კოვტუნი ვერ დაეხმარება.**

## გერმანია

### II ბუნდესლიგა
### გადადებული მატჩები

**ბოხუმი 3:1 როიტლინგენი**

1:0 ფრაერი (27), 2:0 ბაკლი (39), 2:1 ფრომერი (71), 3:1 მაშემიანი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰანოვერი | 27 | 18 | 8 | 1 | 73:29 | 62 |
| მაინცი | 27 | 15 | 7 | 5 | 54:31 | 52 |
| ფიურტი | 27 | 15 | 6 | 6 | 54:32 | 51 |
| არმინია | 27 | 14 | 7 | 6 | 51:29 | 49 |
| ბოხუმი | 27 | 14 | 7 | 6 | 55:43 | 49 |
| უნიონი | 27 | 14 | 6 | 7 | 53:31 | 48 |
| აინტრახტი | 27 | 11 | 9 | 7 | 43:35 | 42 |
| ალენი | 27 | 11 | 6 | 10 | 49:58 | 39 |
| დუისბურგი | 27 | 10 | 8 | 9 | 47:42 | 38 |
| ალემანია | 27 | 10 | 4 | 13 | 34:51 | 34 |
| როიტლინგენი | 27 | 9 | 5 | 13 | 39:46 | 32 |
| ვალდჰოფი | 27 | 8 | 8 | 11 | 34:41 | 32 |
| უნტერჰახინგი | 27 | 8 | 7 | 12 | 32:35 | 31 |
| კარლსრუე | 27 | 7 | 7 | 13 | 33:44 | 28 |
| ობერჰაუზენი | 27 | 7 | 6 | 14 | 41:44 | 27 |
| შვაინფურტი | 27 | 6 | 5 | 16 | 25:48 | 23 |
| ზაარბრიუკენი | 27 | 4 | 6 | 17 | 19:59 | 18 |
| ბაბელსბერგი | 27 | 4 | 4 | 19 | 29:67 | 16 |

## შვეიცარია

### II ეტაპი. A ჯგუფი
### გადადებული მატჩი

**სიონი 1:4 ლუგანო**

0:1 ბიანკი (11), 0:2 როსი (14), 1:2 აკგული (19), 1:3 ბასტიდა (40), 1:4 როსი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:2 | 34 |
| ლუგანო | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | 28 |
| გრასჰოპერი | 5 | 2 | 2 | 1 | 11:5 | 27 |
| იანგ ბოისი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 23 |
| სერვეტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | 24 |
| ციურიხი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:7 | 21 |
| სენტ გალენი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 23 |
| სიონი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:16 | 17 |

## შოტლანდია

### პლეი ოფი. VI ტური

ოდრა — ლეგია 0:1; რუხი — პოგონი 0:0; ვისლა — კატოვიცე 1:1; პოლონია — ამიცა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:4 | 28 |
| ვისლა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 24 |
| პოლონია | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 23 |
| ამიცა | 6 | 3 | 1 | 2 | 10:5 | 22 |
| კატოვიცე | 6 | 3 | 1 | 2 | 6:8 | 19 |
| ოდრა | 6 | 1 | 0 | 5 | 3:10 | 19 |
| პოგონი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:4 | 18 |
| რუხი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:8 | 14 |

### პლეი აუტი. VI ტური

გროცლინი — სტომილი 1:2; რადომსკო — ოსტროვეცი 3:0; ზაგლებე — გურნიკი 0:0; ვიძევი — შლიონსკი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზაგლებე | 6 | 2 | 4 | 0 | 7:5 | 19 |
| ვიძევი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:4 | 18 |
| რადომსკო | 6 | 2 | 4 | 0 | 8:4 | 18 |
| გურნიკი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:5 | 15 |
| სტომილი | 6 | 1 | 5 | 0 | 5:4 | 13 |
| ოსტროვეცი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 13 |
| გროცლინი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:9 | 12 |
| შლიონსკი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:9 | 11 |

იყიდება სასწრაფოდ!
ლაზერული პრინტერი
LASERJET 5000N
ნახმარ მდგომარეობაში
ტელ. 38-11-14, 39-48-29

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## C ჯგუფი: ბრაზილია, თურქეთი, კოსტა რიკა, ჩინეთი



**ფართობი:** 51 100 კმ²
**მოსახლეობა:** 3 600 000
**დედაქალაქი:** სან ხოსე
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1921 წელს
ფიფას წევრი 1921 წლიდან
კონკაკაფის წევრი 1962 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** ჰერმეს ნავარო ვარგასი
**გენერალური მდივანი:** ოსკარ ერერა
**სტადიონი:** „ეროვნული“ (30 000)
**მწვრთნელი:** ალეშანდრე გიმარაეში
**კაპიტანი:** პაულო ვანჩოპე
**ფორმა:** წითელი მაისურა, ლურჯი ტრუსი, თეთრი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „დეპორტივო საპრისა“, „ერედიანო“, „სანტა ბარბარა“, „სან კარლოსი“, „კარმელიტა“, „ლიმონი“, „პერეს სელედონი“, „ოსა“
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 27




## არის ასეთი ქვეყანა

კოსტა რიკა ამერიკის ერთადერთი უარმიო ქვეყანა გახლავთ, ხოლო ლათინურ ამერიკაში ჯარი გარე მტერზე მეტად სამოქალაქო ომთან ასოცირდება, ამიტომ კოსტა რიკაში მშვიდობა სუფევს. იმ დროს, როცა მეზობელი პანამა, ნიკარაგუა, სალვადორი, ჰონდურასი და გვატემალა გატაცებით იბრძვიან შინ და გარეთ, კოსტა რიკას არც სანდინისტები აწუხებს, არც „კონტრასი“ და სხვა ათასი ჯურის ფრონტი და მოძრაობა, თუნდ კომუნისტური, თუნდ კაპიტალისტური. ბოლო სამოქალაქო ომი იქ 1948 წელს იყო.

კოლუმბი კოსტა რიკას 1502 წელს მიადგა და ეიფორიამ შეიპყრო. მის გემზე ასულ პირველივე ინდიელს უზარმაზარი ოქროს საყურეები უკონწიალებდა. აფოფინებულმა ესპანელებმა დაუყოვნებლივ შეარქვეს ქვეყანას დღევანდელი სახელი, რაც „მდიდარ ნაპირად“ ითარგმნება, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ზეიმი ნაადრევი იყო. დღეს კოსტა რიკა კაკაოს და ყავის ექსპორტით უფრო გამოირჩევა.

თეთრები და მეტისები მოსახლეობის მეტი წილია. კარიბეთის სანაპიროზე ზანგები და ჩინელებიც ბინადრობენ და მთელი ეს ხალხი ყოველ 4 წელიწადში ერთხელ დემოკრატიის ნორმების მეტნაკლები დაცვით პრეზიდენტს და 57 კაციან პარლამენტს ირჩევს, რაც ოთხჯერ ნაკლებია მოსახელობით ტოლი საქართველოს პარლამენტზე და კიდევ: კოსტა რიკაში ვალებს თაობიდან თაობას არ გადასცემენ.

**დავით გულუა**



# კონკაკაფიდან გზაგაკაფული

## შვიდი რჩევა მუნდიალზე წამსვლელებს

**ის** ფსიქოლოგი არ არის. არ სიამოვნებს როცა ფსიქოლოგს უწოდებენ. კოსტარიკელი ხერმან რეტანა ლათინურ ამერიკაში არსებული საწარმოთა მართვის ინსტიტუტის, INCAE-ს პროფესორია. ხერმან რეტანა საკუთარ თავს ფსიქოლოგს კი არა, იმპულსის წყაროს უწოდებს. ხერმან რეტანა მოწოდებულია კოსტა რიკის ნაკრების მოსამართად მსოფლიოს ჩემპიონატზე, გუნდს გადაუწყვეტია, პრეტენზიები და ამბიციები მაქსიმალურად გამოავლინოს კორეა-იაპონიაში. ცხადია, ეს არც ისე ადვილი ამოცანაა, როცა ჯგუფში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი გყავს, მაგრამ მაინც. „ტიკოები“ (ასე ეძახიან მეტსახელად კოსტარიკელებს) სწავლობდნენ და კიდევაც სწავლობენ ჯგუფში თავიანთი მეტოქეების თამაშის სტილს. გარდა ამისა, ისინი ყურადღებით ისმენენ იმპულსის მიმწოდებლის, ხერმან რეტანას რჩევებს. ჩამოვთვალოთ ისინი: თავმდაბლობა, დისციპლინა, ინდივიდუალურობა, ძლიერი ხასიათი, ბრძოლის წყურვილი, მოწინააღმდეგის პატივისცემა და საკუთარი თავის რწმენა. „ჩვენ ვიმუშავებთ — ამბობს რეტანა — იმისთვის, რომ შევაბიჯოთ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში და ამავდროულად ზრდას არ შევწყვეტთ“. ხერმანი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ „ტიკოებმა“ სერიოზული სიტყვა თქვან მსოფლიოს მთავარ საფეხბურთო ფორუმზე.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ იომო სონო 1998 წელს ორი თვით წვრთნიდა სამხრეთ აფრიკის ეროვნულ ნაკრებს და „ბაფანა ბაფანამ" 47 წლის სპეციალისტის ხელში 7 მატჩში სამჯერ გაიმარჯვა, ორჯერ ფრედ ითამაშა და ამდენჯერვე დამარცხდა. ბოლო მარცხი ეგვიპტესთან იგემა — 0:1. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს მარცხი კონტინენტის თასის ფინალში შეემთხვათ სამხრეთ აფრიკელებს, სონოს ნაკრებიდან წასვლის მიზეზიც ადვილი ასახსნელია.

საუდის არაბეთთან სამხრეთ აფრიკამ ესენი ათამაშა: *ბარონი (მარლანი), ჯორდანი, ბოთი, სიბაია, ზვანე (დლადლა), ნზამა (მაბიზელა), მიიფე, მნგომენი, ვილაკაზი (ტულე), მოლალა (ევანსი), მანიატელა.*

**ბაატა ძვანტალიანი**





საუდის არაბეთთან მატჩში სამხრეთაფრიკელთა კარს ბარონი იცავდა, მეტოქეს კი მანიატელა უტევდა

# შოთა კოჭმა გაკოჭა

საქართველოს ნაკრებისა და შოტლანდიური „რეინჯერსის" თავდამსხმელის შოთა არველაძის სამხრეთ აფრიკასთან ამხანაგურ მატჩში თამაში საეჭვოა. საქმე ისაა, რომ შოთა არველაძეს ფეხი აწუხებდა და გუშინ ტრავმის მოშუშების შემდეგ „რეინჯერსთან" პირველად, თუმც კი სრული დატვირთვით ივარჯიშა.

— ისევ ის კოჭი გამიმიზეზდა, რომლის გამოც იტალიასთან თბილისში სრულფასოვნად თამაში ვერ შევძელი. ვნახოთ, ხვალ ექიმი გამსინჯავს და მირჩევს, ღირს თუ არა თბილისში ჩამოსვლა — გვითხრა შოთა არველაძემ, როცა გუშინ გლაზგოში დავუკავშირდით — მსურს, სამხრეთაფრიკელებთან ვითამაშო და ჩემი შესაძლებლობები ნაკრებს მოვახმარო, მაგრამ, რა ვქნა, ყველაფერი ჩემს ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელების სიაში შოთა არველაძე არის, მაგრამ, რაკი გუნდის თავკაცები სამხრეთ აფრიკასთან გამოძახებული შემადგენლობის დასახელებას დღემდე ერიდებოდნენ და ამბობდნენ, შესაძლოა, სასურველთაგან ბევრი გამოგვაკლდესო, უნდა ვიფიქროთ, რომ 27 მარტს თბილისში „რეინჯერსის" ფორვარდი არ ითამაშებს.

**კობა ინასარიძე**



# დეკანოსიძემ შექმნა და ჩაშალა



გიორგი დეკანოსიძემ (ბურთით) დუისბურგელები გვარიანად გააწვალა

*მომავალ სეზონში შესაძლოა, ბუნდესლიგას კიდევ ერთი ქართველი შეემატოს. პირველ წრეში მეორე ბუნდესლიგის საშუალო გუნდთა შორის დამკვიდრებული „ფიურტი" წლეულს მეტად გარდაისახა. ამის მიზეზად ყველა ერთხმად ახალ თავკაც ჰოიგენ ჰახს მიიჩნევს. ამ კაცის მადლიერია ყველა – კლუბის ხელმძღვანელობიდან დაწყებული უბრალო გულშემატკივრით დამთავრებული. მართალიცაა, ჰახის ხელში ხომ „ფიურტმა" მხოლოდ ერთი თამაში წააგო და ახლა მოწინავე სამეულში ყოფნით იწონებს თავს. არადა, პირველი წრის შემდეგ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ „ფიურტი" ბუნდესლიგასთან ასე ახლოს მივიდოდა. თუმც ჩვენთვის საინტერესო თემა ეს კლუბი კი არა, მისი 20 წლის ქართველი ნახევარმცველი გიორგი დეკანოსიძეა, რომელსაც გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ*

## პრეზიდენტმა ფიურტს ბუნდესლიგისკენ კატეგორიულად მიუთითა

**— მეორე წრეში მხოლოდ ერთხელ დამარცხდით და სამეულშიც დამკვიდრდით. ბუნდესლიგაც არც ისე შორს ჩანს...**

— უზომოდ გახარებული ვარ. ფაქტობრივად, ყველაფერი ჩვენს ხელთაა. არადა, ამას ვინ იფიქრებდა. სეზონის ბოლომდეც ბევრი არ დარჩა.

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებთ მიზნის მიღწევას?**

— უნდა შევძლოთ. შვიდი თამაში დაგვრჩა და აქედან ოთხი შინ გვაქვს. თუ ყველა საშინაო მატჩს მოვიგებთ, 63 ქულა დაგვიგროვდება. ვფიქრობ, ეს საკმარისი იქნება, რადგანაც აქამდე 61-ქულიანი გუნდი ყოველთვის გადადიოდა ბუნდესლიგაში. ამის გამო იმედიანად ვარ.

**— ბოლო ტურში, „დუისბურგთან" მატჩში, მოედანზე ბოლოს გამოჩნდით. რას იტყვით იმ შეხვედრაზე?**

— დაახლოებით 15 წუთი ვითამაშე. ცოტა უიღბლოდ კი შევედი. 1:0 ვიგებდით და მეტოქემ 85-ე წუთზე გაგვითანაბრა, თუმც ამან გუნდი ვერ გატეხა და მწვავედ შევუტიეთ. ბოლო წუთებზე პენალტიც მოვინადირეთ. ამ ეპიზოდამდე კი ღვორაკს მე მივეცი ბურთი ხელსაყრელ სიტუაციაში, მაგრამ მცველი ეუხეშა.

**— უხეშობით შენც „გამოიჩინე" თავი, გაგაფრთხილეს კიდეც...**

— სხვა გზა არ მქონდა. მეტოქემ კონტრშეტევაზე დაგვიჭირა და მოედნის ცენტრში ვიუხეშე. ყვითელ ბარათს რას დავეძებდი, გოლს გადავურჩით.

**— „ფიურტის" წარმატებაში მთავარ მწვრთნელს, ალბათ, ლომის წილი უდევს...**

— რა თქმა უნდა. ჰოიგენ ჰახს აქ ძალიან დიდ პატივს სცემენ. მას ფეხბურთზე თავისებური შეხედულება აქვს. უპირატესობას შემტევ ფეხბურთს ანიჭებს და მაქსიმალურად ცდილობს, გუნდმა მეტი დრო მეტოქის ნახევარზე გაატაროს. არაფერს ვიტყვი დისციპლინაზე. გერმანიაში ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მიაჩნიათ. თან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „ფიურტში" ჰახს არც ერთი ახალი ფეხბურთელი არ მოუყვანია, რაც დღევანდელ ფეხბურთში ხშირად ნამდვილად არ ხდება. ჰახი იმ კონტინგენტს დაეყრდნო, რაც გუნდში დახვდა.

**— ჰოიგენ ჰახმა გუნდში მოსვლისას, პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ მზად იყავი...**

— დიახ. ეს მეც გავიგე. 18-კაციან შემადგენლობაში ყოველთვის ვხვდები, რაც ადრე იშვიათად ხდებოდა. კმაყოფილი ვარ. ჰახის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. როცა ის საჭიროდ თვლის, მათამაშებს კიდეც. ყველაფერი მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია. ვიცი, რომ არაფერი დამეკარგება. ამიტომ ვვარჯიშობ და ჩემს შანსს ველი. ის ფაქტი, რომ ძირითად შემადგენლობაში მუდმივად ვერ ვხვდები, ჩემთვის კატასტროფა სულაც არაა. ესე იგი კიდევ უნდა მოვუმატო.

**— სარეზერვო გუნდში თუ თამაშობ?**

— არა. მე უკვე ძირითადი გუნდის სრულუფლებიანი წევრი ვარ. იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც თამაში არ უწევთ, ამხანაგურ მატჩებში გვაძლევენ თავის გამოჩენის შანსს. ასე რომ, სათამაშო პრაქტიკის უქონლობა ნამდვილად არ მაწუხებს.

**— ასეთ შედეგს, ალბათ, კლუბის ხელმძღვანელობაც არ ელოდა...**

— დიახ. როდესაც „ფიურტის" მთავარ მწვრთნელად ჰოიგენ ჰახი დანიშნეს, ფიქრობდნენ, რომ ამ სეზონში გუნდს უკეთ მოამზადებდნენ და მომდევნო სეზონიდან დაიწყებდნენ ბუნდესლიგის საგზურისთვის ბრძოლას. ახლა კი ამაზე არავინ ფიქრობს. ხელმძღვანელობაც და გულშემატკივარიც აღზევებას გვთხოვს. ამან უკვე კატეგორიული ტონიც მიიღო.

**— კლუბთან კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

— ხელშეკრულება ივნისამდე მაქვს გაფორმებული. ჯერ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. აპრილში კლუბის თავკაცებს შევხვდები და მაშინ გადაწყდება ყველაფერი.

**— კონტრაქტის გაგრძელება რომ შემოგთავაზონ, დათანხმდები?**

— დაუფიქრებლად დავთანხმდები. აქაურობას ძალიან შევეჩვიე. „ფიურტში" დარჩენა ძალიან გამახარებს. მით უმეტეს, ბუნდესლიგაშიც თუ გადავედით, ამას რა აჯობებს. თუმც ჯერ ამაზე საუბარინაადრევია.

**— ნაკრებიდან ხომ არ შეგხმიანებიან?**

— დაახლოებით ერთი თვის წინ დამირეკა ვახტანგ კოპალეიშვილმა, ჩემი ამბები მოიკითხა და უკრაინასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოგიძახებო, მითხრა.

**ბახა ფალავანდიშვილი**

ზაზა ფაჩულიასა და „ულქერის" ურთიერთობაზე წიგნი დაიწერება. ქართველს თურქული კლუბიდან კარგიც ბევრი ახსოვს და ცუდიც. წინა სეზონის ბოლოს ჩვენებურმა სტამბოლის დატოვება ისურვა, მაგრამ არ გაუშვეს და იძულებული გახადეს, ორწლიან კონტრაქტს დაყაბულებულიყო. სეზონი კეთილად დაიწყო. ფაჩულია, უწინდელისგან განსხვავებით, ხშირად თამაშობდა, თუმც მერე სიტუაცია შეიცვალა და ჩვენი ნაკრების ცენტრი მოედანზე თითებზე დასათვლელი წუთებით ჩნდებოდა. თავად ზაზა ამას მწვრთნელ მურათ დიდინის ახირებას აბრალებდა, კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ მწვრთნელი არ მათამაშებსო...

ეს ამბები იყო და, ბოლო დღეებია, თურქეთიდან ზაზა ფაჩულიაზე გასახარი ცნობები მოდის. სამი მატჩია, ქართველი, სათამაშო დროის სიმწირის მიუხედავად, ქულებს უხვად იხვეჭს. კვირას კი მურათ დიდინმა ინება და ჩვენებური 33 წუთი ათამაშა. პასუხად ზაზა 26 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა...

კონტრასტი თვალსაჩინოა. სიტუაციაში გასარკვევად გუშინ დავუკავშირდით „ულქერის" მწვრთნელ მურათ დიდინს, რომელიც „მაკაბისთან" საევროლიგო მატჩისწინა ვარჯიშს ატარებდა... განმეორებითი სატელეფონო ზარის შემდეგ ეს ინტერვიუც შედგა...



მურათ დიდინი

# დიდინი ფაჩულიას ფლავივით დაუტკბა

## ალაჰმა იცის, გურჯი არა მძულს

## ზაზა ფაჩულია: დიდინის სიტყვებს დიდინის წუთები მირჩევნია

— თქვენებურის ძალიან კმაყოფილი ვარ. მან ბოლო შეხვედრები ბრწყინვალედ ჩაატარა და „ულქერს" მნიშვნელოვანი მატჩები მოაგებინა.

**— ფაჩულია ბოლო სამ მატჩში საკმაო დროით ათამაშეთ და მანაც გაგიმართლათ. რატომ არ აკეთებდით ამას აქამდე? იმიტომ ხომ არა, ზაზამ სეზონის წინა შეკრებაზე რომ დაიგვიანა?**

— იგი მართლაც გვიან ჩამოვიდა შეკრებაზე და ამის გამო, ბუნებრივია, საკმაო პრობლემებიც შეექმნა, მაგრამ ამ ფაქტს მის უთამაშებლობაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. ყველაფერი მოგვარდა და ფაჩულია ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორითაც ყველა ულქერელი. ის ძალიან ახალგაზრდაა და ვერიდები მის მოედანზე დიდი ხნით გაყვანას, თორემ ალაჰმა ხომ იცის, რაიმე უსიამოვნება ჩვენს შორის არ არსებობს, პირიქით, გუნდის მთელი ხელმძღვანელობა მისით კმაყოფილია.

**— იყო ლაპარაკი ფაჩულიას სხვა გუნდში გადასვლაზე ამის თაობაზე რამდენიმე ევროპულმა გუნდმა გამოთქვა სურვილი. მისი გვარი ნბა-ს დამკვირვებელთა სიებშიცაა.**

— მართალი გითხრათ, კონკრეტული არაფერი მსმენია ამის თაობაზე. ლაპარაკით ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ჩემთვის და კლუბის ხელმძღვანელობისთვის არავის მოუმართავს.

**— „ულქერში" ცენტრის პოზიციაზე დიდი კონკურენციაა...**

— ცენტრები მართლაც საკმაოდ გვყავს, მაგრამ ეს გამართლებულად მიმაჩნია. ვფიქრობ, ყველა დიდ გუნდს უნდა ჰყავდეს 3-4 ცენტრი, რადგან თუ ფარზე უპირატესობას ფლობ, წარმატებასაც იოლად მიაღწევ.

**— ვის გამოარჩევთ?**

— არავის გამოყოფა არ მსურს. ჩემთვის ყველა ერთია. ყველა მაქსიმუმს იღებს გუნდისთვის და ეს საკმარისია.

**— შინაურ ჩემპიონატში „ეფესთან" ორჯერვე დამარცხდით. ჩემპიონის ტიტულის დაცვა, ალბათ, გაგიჭირდებათ...**

— ვაღიარებ, „ეფესი" წლეულს ჩვენზე ძლიერია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი ჩემპიონობა გადაწყვეტილი საქმეა. სეზონის დამთავრებამდე საკმაო დროა, მართალია, მათ აღარ ვხვდებით, მაგრამ იქნება მატჩები, რომლებშიც შეიძლება, ეფესელებმა წაიფორხილონ. ჩვენც ამის იმედზე ვართ და ვეცდებით, ყველა დარჩენილი თამაში მოვიგოთ.

**— ევროლიგაზე რას იტყვით? ორი სასტარტო მარცხის შემდეგ რთულ ვითარებაში ხართ...**

— მდგომარეობა მართლაც არასახარბიელოა. წინა მატჩი მოსკოვში უნდა მოგვეგო, მაგრამ... დღეს „მაკაბის" ვიღებთ და ყველაფერი აქ გაირკვევა. თუ გავიმარჯვებთ, საქმეს გამოვისწორებთ და ფინალში გასასვლელად წელგამართულნი ვიბრძოლებთ.

**— ფაჩულიას კონტრაქტი ერთი წლის მერე უმთავრდება, მერე რას აპირებთ?**

— იგი ჯერ ახალგაზრდა და მეტად პერსპექტიულია. ვფიქრობ, აქ მისთვის კარგი სკოლაა. ვეცდებით, კონტრაქტი კიდევ 5 წლით გავუხანგრძლივოთ.

**— ბოლოს ისევ ზაზაზე გკითხავთ. დღეს მატჩია...**

— ზაზა აუცილებლად ითამაშებს, ამის პირობას ვიძლევი.

***ამის შემდეგ ზაზა ფაჩულიას დავუკავშირდით, დიდინის ნაუბარიც გადავეცით და ბოლო მატჩებზეც დავეკითხეთ.***

**— დიდინმა, კიდევ 5 წლით რომ დაგვეტოვებინა, კარგი იქნებოდაო...**

— რაც აქ ვარ, ბევრი რამ გამოვცადე. იყო პერიოდი, მოედანს არ მაკარებდნენ, მახსოვს მატჩები, მთელი თამაში მოედანზე გამიტარებია. ამიტომ ვერაფერს ვიტყვი, ჯერ კონტრაქტი დამიმთავრდეს და მომავალზე მერე ვილაპარაკებ.

**— ბოლო მატჩებში თავი ისახელე...**

— რაც აქ ვარ, ასე არ მითამაშია. ბოლო კვირაში ვიგრძენი, რომ გუნდის ნამდვილი წევრი გავხდი. ვგულისხმობ იმას, რომ გუნდს მოვაგებინე კიდეც. ბოლო სამ მატჩში დიდებულად გამომივიდა ყველაფერი. განსაკუთრებით კი „ტელეკომთან" და „თედ კოლეჯთან" მატჩებს გამოვარჩევ. პირველში 22 წუთი დავყავი მოედანზე და 19 ქულასთან ერთად 8 მოხსნაც მივითვალე. მეორე კი, რაც „ულქერში" ვთამაშობ, საუკეთესო იყო ჩემთვის. „თედ კოლეჯი" თურქეთის თასის მეოთხედფინალში დავამარცხეთ, 33 წუთში 26 ქულა და 8 მოხსნა გავაკეთე. ამაზე მეტი ამ სეზონში ერთხელ, „გალათასარაისთან" ვითამაშე და ტურის საუკეთესოთა სამეულში მოვხვდი. ამ მატჩებმა ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. ვგრძნობ, რაღაც მომემატა, როგორც კალათბურთელი ერთიორად გავიზარდე.

**— დიდინმა თქვა, „მაკაბისთან" ვათამაშებო...**

— დღეს დილის ვარჯიშისას დიდინმა მითხრა, მატჩამდე ერთი ერთზე უნდა დაგელაპარაკოო. არ ვიცი, რას მეტყვის, მაგრამ ვგრძნობ, რაღაც სერიოზულია. მეცდა არ დამიკლია, ყველა მატჩში მაქსიმუმი გავიღე და ჩემი შესაძლებლობები სრულად წარმოვაჩინე. ჯერი დიდინზეა. არ დადგა დრო, ნდობა გამომიცხადოს? რაც შეეხება „მაკაბისთან" მატჩს, გაათკეცებული მონდომებით ვემზადები. მოედანზე არაფერს დავიშურებ ჩემი სიმართლისა და ძალის დასამტკიცებლად.

**ირაკლი ბერტაია**



ზაზა ფაჩულია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორდანი NBA-ბუმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოვა გუნდიანი კაცი და ქულებს დაგაჭრით!

20 მარტი

**ფილადელფია 77:82 მაიამი**

**ფილადელფია:** სნოუ (6), აივერსონი (38), ჰარპრინგი (15), ბლუნტი (6), მუტომბო (3); კლაქსტონი (6), ა. ჯონსი (2), მაკკი (2), ბელი

**მაიამი:** სტრიკლენდი (14), ე. ჯონსი (10), გილი (2), გრანტი (4), მურნინგი (16); ჰაუსი (20), ბეტლინგი (13), ჯეკსონი (9), სტეფანია (2 წუთი, 1 მოხსნა)

**დენვერი 75:107 ვაშინგტონი**

**დენვერი:** მაკდაისი (16 ქულა, 10 მოხსნა)
**ვაშინგტონი:** ჰამილტონი (30), ალექსანდერი (16)

**სან ანტონიო 108:90 ლეიკერსი**

**სან ანტონიო:** დანკანი (25), როუზი (19)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (20), ონილი (17 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 97:82 პორტლენდი**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (28 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა), კიტლზი (18)
**პორტლენდი:** ვოლესი (17)

**შარლოტი 94:88 ინდიანა**

**შარლოტი:** დევისი (25 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), მაშბურნი (19), კემბელი (18)
**ინდიანა:** ონილი (20 ქულა, 16 მოხსნა), კროშერი (16)

**ბოსტონი 96:70 კლივლენდი**

**ბოსტონი:** პირსი (22 ქულა, 10 მოხსნა), უოლკერი (17 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა, 5 ჩაჭრა)
**კლივლენდი:** პერსონი (17)

19 მარტს შინ, „ფილადელფიასთან" ნამარცხევ „მაიამის" არცთუ კაშკაშა პერსპექტივა ესახებოდა. ერთი დღის შემდეგ შინ ძლეველს სტუმრობდა და მარცხის შემთხვევაში მეათე აღმოსავლურ ადგილს საბოლოოდ თუ არა, კარგა ხნით დაეყინებოდა. ივაჟკაცეს ბიჭებმა, შინ გაფუჭებული საქმე გამოასწორეს და მეცხრეადგილოსანი „ვაშინგტონი" ძალიან წინ არ გაუშვეს.

„ჩვენ არ გვჩვევია ერთსა და იმავე გუნდთან ორჯერ წაგება" — ამაყად განაცხადა „მაიამის" სიამაყემ ალონზო მურნინგმა. „ზოს" იმ საღამოს არა უშავდა, დაცვაში იყოჩაღა და თითქმის მთლიანად გააჩერა „ფილას" წოწოლა, თან არც ჯანნაკლული ცენტრი დიკემბე მუტომბო. ეგაა, მასპინძელთა კალათის სიახლოვეს ველარ გაშალა ფართოდ მკლავები, რაც უნდა იყოს, მუტომბო სეზონის საუკეთესო დამცველად ოთხჯერაა დასახელებული და თუმც მოხუცდა, მაინც რჩება ყურადღებამისაქცევ კაცად.

ისე, მუტომბოსთან მოჭიდავე მურნინგისგან არც არავინ ელოდა 25-30 ქულას, მაიამელებს უფრო ედი ჯონსის იმედი ჰქონდათ. ჯონსმა ვერ ივარგა, აივერსონის კუდში ფუჭად დევნას გადაჰყვა და ათი ქულით შემოიფარგლა. სტუმართა ბედად და მასპინძელთა ჭირად, საიდანღაც („მაიამის" სათადარიგოთა სკამიდან) გამომტყვრალმა ედი ჰაუსმა სასწაულებრივად გამოიდო თავი და სეზონში უმეტესი ქულა მიიხვეჭა. ამ ცქვიტი ჯეელის ხელ-ფეხმარდობა განსაკუთრებით მატჩის ბოლო წამებში წაადგა „მაიამის". უდაძაბულესი მატჩის ბოლოსწინა წუთზე და 75:75-ზე მან სამქულიანი ჩაუგდო იმ დღეს ამაოდ დაღლილი აივერსონის გუნდს, ამას ორიანიც მიაყოლა და მატჩის დამთავრებამდე ასე რვა წამით ადრე ორი ერთიანით (საჯარიმოებით) საბოლოოდ მიაჩუმა ტრიბუნებზე შეფენილი და მანამდე ავად მოგუგუნე ოცი ათასი ფილადელფიელი.

ამ მნიშვნელოვან ძლევაში „მაიამის" ქართველი ტანსარო ბიჭის, ვოვა სტეფანიას წვლილი არცთუ მნიშვნელოვანია. მან ორი წუთი ითამაშა და ეს დრო ერთი ბურთის აცილებას და ერთიც სხვისი აცილებულის მოხსნას დაახარჯა.

ჯორდანი დაბრუნდა, ძრწოდე, ამერიკავ! იმუქრებიან საკალათბურთო ქვეყნის დედაქალაქიდან. ჯორდანის სამკვირიანმა იძულებითმა შვებულებამ მისი გუნდისთვის ასე თუ ისე მშვიდობიანად ჩაიარა. „ვაშინგტონმა" მოახერხა ყველა თამაშის არწაგება და ძალიანაც არ ჩაძირულა ცხრილში. მაიკლის ოპერაციამდე აღმოსავლეთში მეექვსე მხოლოდ სამი საფეხურით დაქვეითდა.

„ეს კატასტროფა არაა — ამბობს შეგირდთაგან უპირველესის კვლავხილვით ხალისდაბრუნებული „ვიზარდსის" თავკაცი დუგ კოლინზი — წინ ჯერ კიდევ ბევრი მოსაგები თამაში გველის". კოლინზის სიტყვებში მსუბუქი, მაგრამ მკაფიო მუქარა შეინიშნება, ის ხომ მაიკლ ჯორდანით იმუქრება.

ჯორდანმა გუშინწინ დენვერში იქაურ „დენვერთან" მსუბუქად გამოსცადა 27 თებერვალს ნაოპერაციევი მუხლი და შედეგით კმაყოფილი დარჩა. მან მხოლოდ 16 წუთი ირბინა და ცხრა სროლიდან შვიდის გაფუჭების შემდეგ „ვაშინგტონის" აქტივს სულ შვიდი ქულა შეაწია, თუმც ხალისიანადაა: „თავს შესანიშნავად ვგრძნობ, რიგიანად ვმოძრაობ. მართალია, ძველი ტემპით ვერ ვთამაშობ, მაგრამ მუხლი არანაირად არ მაწუხებს და სადღეისოდ მთავარი ესაა. თქვენ ხედავთ, ბიჭებს ჩემზე მეტად უხარიათ". აბა, როგორ არ იქნება კმაყოფილი, ამ კაცისთვის ხომ კალათბურთი მთელი ცხოვრებაა.

ჯორდანის ფაქტობრივად უთამაშებლობის მიუხედავად, „ვაშინგტონმა" მაინც იოლად მოუგო „დენვერს", რომელიც „დალასთან" წამგებიანი ვაჭრობის შემდეგ ეგებ ლიგის ყველაზე უფხო გუნდადაც იქცა.

**ირაკლი ფირცხვილი**



მაიკლ ჯორდანი სამკვირიანი იძულებითი უქმობის შემდეგ ხალისით უბრუნდება საყვარელ საქმეს

24 მარტი. 15 საათი

## საქართველო – ესპანეთი

მადრიდი. უნივერსიტეტის სტადიონი

# ბორჯღალოსნებმა რუსული გაიმეორეს, ახლა ესპანურს სწავლობენ

**კვირას** ქართველი მორაგბეები ბოლო სამ წელს მესამედ შეერკინებიან ესპანელებს. ევროპის ერთა თასის ბოლოსწინა ტურის მადრიდული მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია ბორჯღალოსნებისთვის. რუსეთთან ფრის შემდეგ ქართველებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ, რათა წლევანდელი ტურნირის მოგების შანსიც შეინარჩუნონ და ორი წლის მონაგარით 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში იოლ ჯგუფში მოხვდნენ.

საამისოდ ბორჯღალოს ლეგიონი ოთხშაბათიდან გადავიდა შეკრებაზე. ქართველმა მორაგბეებმა კარგად ნაცნობ მონპელიეს სპორტულ ბაზას მიაკითხეს და ორი დღე იქ დაიდეს ბინა. გუშინ კი ჩვენებურები მონპელიე-პარიზი-მადრიდის ავიარეისით ესპანეთის სამეფო ქალაქს ჩაფრინდნენ.

გუშინვე ბორჯღალოსანთა კაპიტან ლევან ცაბაძეს დავუკავშირდით სასტუმრო „სან ანტონიო დე ლა ფლორიდაში", სადაც ნაკრები დაბინავდა. ეს სასტუმრო მადრიდის უნივერსიტეტის სტადიონიდან, სადაც მატჩი უნდა გაიმართოს, ნახევარი საათის სავალზეა.

**— ლევან, მგზავრობამ ხომ არ გადაგღალათ?**

— არც ისე, მაგრამ ამხელა გზის გავლამ მაინც თავისი გააკეთა. ახლა ვისვენებთ. არა უშავს სასტუმროა, ნორმალური პირობებია. ისე კი, ამ სასტუმროს ორი კორპუსი აქვს. ერთში ჩვენ, მორაგბეები, ვცხოვრობთ, მეორეში ხელმძღვანელობა. იქ, მგონი, უკეთესი პირობებია.

**— ჩასვლა-დახვედრისას რაიმე პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ?**

— არა, აეროპორტში ესპანეთის რაგბის კავშირის წარმომადგენლები დაგვხვდნენ, ავტობუსით სასტუმრომდე მოგვაცილეს. ეგაა, მევლუდ მთიულიშვილის ბარგი სადღაც გაქრა. აქ გვითხრეს, პარიზიდან არ გამოუგზავნიათო. ეგ არაფერი, ალბათ, ყველაფერი მოგვარდება.

**— ორი დღე მონპელიეში ემზადებოდით. კმაყოფილი ხართ შეკრებით?**

— ძალიან. ეტყობა, ახლა უფრო მეტ პატივს გვცემენ. უწინდელთან შედარებით მშვენიერი მოედნები და სასტუმრო დაგვითმეს. ამინდიც კარგი იყო. დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით. სხვათა შორის, მონპელიეს მერმაც მიგვიწვია. თქვენნაირი საპატიო სტუმრები ბევრი არ მყოლიაო, გვითხრა.

**— რუსეთთან მატჩი თუ გაარჩიეთ სორელთან ერთად?**



თბილისში ბორჯღალოსანთა ვარჯიშისას მათ ჩანთებს გია ლაბაძის ლედი დარაჯობს. სამწუხაროდ, ლედი მადრიდში არ წაიყვანეს

— მონპელიეში ვუყურეთ ვიდეოფირს. ნათლად დავინახეთ ჩვენი შეცდომები, რომელთაც, ცხადია, გამოვასწორებთ. ძირითადად უპირატესობას ვერ ვიყენებდით, ბურთიანად მეტოქის მარწუხებში სრულიად უაზრო სიტუაციაში ვხვდებოდით და ამით რუსებს საქმეს ვუადვილებდით.

**— ესპანეთის ნაკრების თამაშების ვიდეოფირი თუ გაქვთ?**

— ახლა ველოდებით. შეპირებულები არიან და ალბათ სორელს დღესვე მისცემენ. დავსხდებით, ვუყურებთ და დასკვნებსაც გამოვიტანთ.

**— შენი აზრით, რაში ვჯობივართ ესპანელებს?**

— ალბათ, შერკინებაში, თორემ ხელით თამაში მათაც ეხერხებათ.

**— ნამგზავრზე ვარჯიშს აპირებთ?**

— აუცილებლად, საღამოს მსუბუქად წავივარჯიშებთ, ხვალ კი უფრო სერიოზულად დავიტვირთებით.

**— მომავალ მატჩზე რას ფიქრობ?**

— რასაც ყოველთვის, უნდა მოვიგოთ. უკან დასახევი გზა არ გვაქვს. განწყობაც კარგია, აბა, სად გინახავთ, ვინმესი შეგვშინებოდეს.

**ბაჩო სვანიძე**

# ლომების ესპანელი მომთვინიერებელი ქართველთა მოთვინიერებით იმუქრება

**მადრიდულ** მატჩამდე ორი დღე რჩება. ესპანელები გამალებით ემზადებიან. „ლომების" მთავარმა მწვრთნელმა პაბლო ტომას გარსიამ გუნდი ორშაბათს შეკრიბა და თავიდან ოცდაათამდე „ლომს" უხმო.

ტომას გარსია კარგ ხანს აკვირდებოდა კანდიდატებს, მერე ნელ-ნელა გუნდი გაცხრილა და ის 22 კაცი დაიტოვა, ვისაც ბორჯღალოსნებს დაახვედრებს. გუშინ კი „ლომთა" მოძღვარი ესპანელ ჟურნალისტებს მომავალ მატჩზე ესაუბრა და აი, რა თქვა:

— სამი შეხვედრა წავაგეთ და პორტუგალიასაც ჩამოვრჩით. უკან დასახევი გზა არ გვაქვს, მხოლოდ გამარჯვება გვჭირდება. საქართველოს ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია, განსაკუთრებით მათი მორკინალები მომწონს. მობილური, ღონიერი პირველი ხაზი ჰყავთ, მაგრამ არც ჩვენ ჩამოვუვარდებით. მძიმე მატჩი იქნება, რომელშიც მხოლოდ ძლიერი გაიმარჯვებს.

პაბლო ტომას გარსიას უკლებლივ ყველა რჩეული ესპანეთის ჩემპიონატში თამაშობს. მათგან გამოსარჩევი სამი მორაგბეა. მორკინალები — ხოსე იგნასიო ზაპატერო და ტონგაში დაბადებული სტივ ტუინიუ რომლის ძარღვებში იბერიული სისხლი ჩქეფს და თავის ძალ-ღონეს წინაპართა სამშობლოს ახმარს. მესამე კი უკანახაზელი ალფონსო მარტინესია. ამ ჩია ტანის და ვერცხლისწყალივით მოძრავ პავბეკს კარში დარტყმაც ფრიად ეხერხება, რაც არაერთხელ დაამტკიცა. ესპანელთა სრული საბოლოო შემადგენლობა ასეთია:

*ფორვარდები: ხოსე იგნასიო ზაპატერო, ხავიერ სალასარი, აბრაამ ფორტე, მარკოს მელა, დიეგო ზარზოსა, როხერ რიპოლი, სტივ ტუინიუ, მიგელ აბრილ, კარლოს სოუტო, მარკო გარსია, ივან გრიადო;*

*უკანა ხაზი: ფერნანდო დე ლა კალე, ხერინიმო ერნანდეს გილი, პაბლო ფეიხუ, ალფონს პარტინესი, ალვარო ენსისო, ალბერტო სოსიასი, ფერნანდო დიესი, პაბლო გუტიერესი, მარკ ვენტურა, დანიელ რიპოლი, ფერან ველასკო.*

**ბაჩო სვანიძე**



ქართველებს ალბერტო სოსიასიც შეერკინება

# პროფები და არიფები

## ტოდ მარტინის ჩაცინებული: შვილიშვილი ბაბუას ხვედრს ასწავლიდა

| კი ბისკეინი. ჰარდი |
| --- |
| კაცები. საპრიზო 3,575 მილიონი $ |

**ტოდ მარტინი (აშშ)** — ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) 2:6, 7:6 (7:3), 7:6 (9:7); **გრეგ რუზედსკი (ბრიტანეთი)** — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:4; **არნო კლემანი (საფრანგეთი)** — ოლივერ როში (ბელგია) 6:2, 7:5; **ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა)** — რობი ჯინეპრი (აშშ) 3:6, 6:3, 7:6 (7:3); **გასტონ გაუდიო (არგენტინა)** — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 3:6, 6:4, 6:2; **მერდი ფიში (აშშ)** — მიხაელ კრატოხვილი (შვეიცარია) 3:6, 7:5, 6:1; **მარკუს ჰიპფლი (ავსტრია)** — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:3), 6:4; **ანდრეა გაუდენცი (იტალია)** — მარკ როსე (შვეიცარია) 6:2, 4:6, 6:3; **ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი)** — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:3, 6:2; **ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი)** — ქსავიე მალისი (ბელგია) 0:6, 7:5, 6:4; **გილერმო კორია (არგენტინა)** — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:2; **ტომი რობრედო (ესპანეთი)** — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:2, 1:0 (სანჩესმა შეწყვიტა); **ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)** — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3, 6:2; **აგუსტინ კალერი (არგენტინა)** — რამონ დელგადო (პარაგვაი) 1:6, 7:5, 6:1; **ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია)** — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:2, 6:0; **ადრიან ვოინეა (რუმინეთი)** — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:7 (6:8), 6:3, 7:5



ტოდ მარტინი

დიდბობოლა კიბისკეინური ტურნირის პირველმა დღემ მომლოდინე ქომაგებს ვერავითარი სიურპრიზი ვერ შესთავაზა. ან კი როგორ უნდა შეეთავაზებინა, როცა იქ ჯერჯერობით არიფების დოლია. თუმცა არიფთა შორის ჩოგნის ქნევა გუშინ რამდენიმე სახელიან კაცსაც მოუხდა.

ამათ შორის უწინარესად სახსენებელი ბებერი ამერიკელი ტოდ მარტინი გახლავთ, კაცი, ვინაც ბოლო თვეში მიჯრით ერთი-ორი მძლავრი მობურთავეც გააფუჭა — სხვათა გვერდით ევგენი კაფელნიკოვისა და გრეგ რუზეცკის ჩათვლით! ამიტომაც იყო, ჩემპიონთა რბოლაში ერთბაშად 18-ადგილიანი ნახტომი რომ გააკეთა და 33-დან მე-15-ზე ავიდა. რაღა ბევრი ლაპარაკი და, 31 წლის ამერიკელს კაი ორ საათნახევრიანი ბლართუნი დასჭირდა, რათა შუშპარა ფრანგი დაემორჩილებინა.

არადა, პირველი, მის მიერ უჯიგროდ წაგებული სეტის მერე შეჭაღარავებული მარტინის ქომაგებს ვინძლო აღარაფრის იმედი არ ჰქონდათ. მაგრამ მეორე სეტიდან ტოდმა ჩოგანი გაანძრია და, მართალია, მეტოქის გეიმები ვერ გატეხა, ტაიბრეიკებზე მაინც უმჯობესი იყო. და ეს არც არავის გაკვირვებია — ამ სეზონში ნათამაშები ათი ტაიბრეიკიდან მან ხომ ცხრის მოგება მოახერხა.

ნამატჩევს მარტინი თავს იმართლებდა, დღეს ისე კარგად ვერ ვითამაშეო, მაგრამ იმით კი ნაამები ჩანდა, რომ მატჩის მსვლელობისას ბებერი ძვლების თანდათანი გალაღება და უკეთ ათამაშება შეძლო. მეორე წრეში მას ტურნირზე მეორე ნომრად განთესილ ესპანელთან, ხუან კარლოს ფერეროსთან შეხლა მოუწევს.

მათი წყვილის გარდა სამეორწრეო მატჩებიდან ყურადღებას ბრიტანელი გრეგ რუზეცკისა და არმენოამერიკელი ანდრე აგასის შეხვედრაც მიიპყრობს. რუზეცკიმ უპრობლემოდ, ხათქა-ხუთქით და 61 წუთში გაიარა სომეხი სარგის სარგსიანი. სარგისის დოსტისა და ისტორიული თვისტომის, ჯადო-ანდრანიკის წინააღმდეგ მან ადრემარტში სკოტსდეილში კი დათმო, მაგრამ არც ის დავიწყნია, რომ სან ხოსეს შარშანდელ ტურნირში ფინალში აჯობა. იოლი გასეირნების იმედი ახლაც ნუ ექნებაო, ასე დაიმუქრა აგასის გასაგებად.

სხვათა შორის, სეზონი რუზეცკიმ მართლაც კარგად დაიწყო — ადელაიდაში მეოთხედფინალს უწია, ოკლენდში იმარჯვა, ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩოგანი მხოლოდ მესამე წრეში დააგდო, მილანში კი ნახევარფინალამდე იღვაწა. ოღონდ ეგ იყო, მას ძალზედ გაუჭირდა ამერიკის მაგარ საფრებზე უდრტვინველად გადართვა და სამივე ტურნირზე, რომელშიც კი იმონაწილევა, მეორე წრეშივე შერცხვა.

დღის დანარჩენი შეხვედრებიდან საინტერესოდ დასრულდა ტურნირზე საშვით მოთამაშე მერდი ფიშისა და ის-რა შვეიცარიელი მიხაელ კრატოხვილის დავი-დარაბა. კრატოხვილმა, ვინაც ინდიან უელსის პირველ წრეში გადალილ ანდრე აგასის უყელა, წლეულს ვერც ერთი მატჩის ვერ მომგებ ფიშს ვერაფერი მოუხერხა და ტრიბუნებზე აინაცვლა. ამერიკელს ახლა მაიამის 1998 წლის ჩემპიონი მარსელო რიოსი გამოცდის.

7-თვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, რაც მის მიერ აკრძალული პრეპარატების ყლაპვას მოჰყვა, არგენტინელმა გილერმო კორიამ თავისი პირველი ტურნირი წარმატებულად დაიწყო. კორია, რომელმაც შარშან მონტე კარლოში ნახევარფინალამდე მიაღწია და რეიტინგსიაშიც 25-ე ადგილზე დადგა, დეკემბერში ნანდროლონის ხმარებაში ამხილეს და ჩოგანი ჩამოაკიდებინეს.

სხვაფრივ — რუმინელმა ვეტერანმა ადრიან ვოინეამ სა-ATP-ო დებიუტი წაუხდინა 17 წლის მარიო ანჩიჩს, რისთვისაც მესამე სეტში, 4:5-ზე, ორი მატჩბურთის მოგერიებაც იკადრა. ხოლო არგენტინელმა ხუან იგნასიო ჩელამ ამომავალი ამერიკელი ბიჭუნა, რობი ჯინეპრი ჩააცხრო. ჯინეპრის შურისძიებას მისი ბავშვობის მეგობარი ენდი როდიკი ეცდება. მეთიხნარე ჩელას როდიკთან დაპირისპირების პერსპექტივა სულაც არ ხიბლავს, მაგრამ მასთან საბულრაოდ მაინც მზადაა.

| ქალები. საპრიზო 2,860 მილიონი $ |
| --- |

**ბარბარა რიტნერი (გერმანია)** — მაშონა ვაშინგტონი (აშშ) 6:1, 6:2; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია)** — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:2, 6:4; **ევა დირბერგი (დანია)** — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:2, 6:3; **ემანუელე გალიარდი (შვეიცარია)** — იანა კანდარი (გერმანია) 6:0, 6:3; **ივა მაიოლი (ხორვატია)** — ვერა ზონარევა (რუსეთი) 2:6, 6:2, 7:5; **მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია)** — კრისტინა ბრანდი (აშშ) 6:1, 6:1; **ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი)** — მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 6:7 (6:8), 7:5; **ლილია ოსტერლო (აშშ)** — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 5:7, 7:5, 6:3; **გალა ლეონ გარსია (ესპანეთი)** — აზა სვენსონი (შვედეთი) 6:3, 6:7 (0:7), 6:2

ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ ვინუს უილიამსს მეორე წრეში — და ბობოლები ჩოგანს სწორედ ამ ეტაპიდან გაიქნევენ — დანიელ ევა დირბერგთან თამაშის სიამოვნება მოელის. 22 წლის ევამ ავსტრალიელ ნიკოლ პრატს საქმე საათზე წუთით მეტში კი გაურჩია, მაგრამ იმასაც კარგად აცნობიერებს, რომ მეორე წრეში შავს და თეთრს მასაც მკაცრად გაურჩევენ. ეგ მით უფრო, რომ მას არც საიმისო გამოცდილება აქვს, ვინუსისდარ ძვლებისდამყრელებთან რამე გააწყოს. დიდი სლემის ტურნირზე მან პირველად წლეულს, ავსტრალიაში ითამაშა და რომელიმე ქეციანი ტურნირი რაა, ისიც კი არასოდეს მოუგია.

რაც შეეხება ვინუსს, რომელმაც წელს უკვე სამი ტურნირის აოხრება მოასწრო, შარშანდელ ფინალში მან თვისტომი, ოღონდ არა თვისფერი, ჯენი კაპრიატი გალახა. საერთოდ კი მაიმიში მას სამჯერ, 2001-ის გარდა, 1998-სა და 1999-ში უმარჯვია.

თავად კაპრიატი ამ ტურნირზე ნომრით პირველი იქნება. რიგით მესამე ჩოგნით მარტინა ჰინგისი, აქაურობაში 1997-სა და 2000-ში გამარჯვებული იკოხტავებს. თავის პირველ შეხვედრას იგი უსახელო ტაივანელ ჯანეტ ლისთან გამართავს.

სხვათა შორის, ქალთა ზეოცეულიდან ტურნირს მხოლოდ ოთხი — მუხლმოუკეთებელი ლინდსი დევენპორტი (5), ფეხმტკივანი სანდრინ ტესტიუ (11), და ჯანმრთელები, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო მაიამისგან თვითგამოთიშული ამელი მორესმო (10) და ნატალი ტოზია (16) დააკლდება.

**ლევან ძელაურაძე**

## NHL რეგულარული ჩემპიონატი



ფლორიდელთა მეკარე რობერტო ლუონგო მონრეალთან მატჩისას მძიმედ დაშავდა

# მტერი იყოს ამ კაცის დღეში

20 მარტი

**მინესოტა 1:3 კოლუმბუსი 0:0 0:1 1:2**
**0:1 ვიბორნი (22), 0:2 უაიტნი (25), 0:3 სენდერსონი (48), 1:3 ბრიუნეტი (49)**

აუტსაიდერმა კოლუმბუსმა ბოლო 6 მატჩში მეოთხედ მოიგო, მაგრამ „ცისფერმოსასხამიანებს“ სიხარული არ უგრძვნიათ. მიზეზი ცნობილია — გოგონას სიკვდილის შემდეგ კოლუმბუსელები კვლავ შოკში არიან. ყველაზე მეტად, ცხადია, ტრაგედიის უნებლიე მიზეზი, ნორვეგიელი ესპენ კნუტსენი წუხს. „განუწყვეტლივ ამაზე ვფიქრობ. მეც მყავს ოჯახი და წარმომიდგენია, რა დღეში არიან ბრიტანის მშობლები“ — უთხრა მან ჟურნალისტებს თამაშის წინ. მატჩმაც ცხადყო, რომ კნუტსენი მართლაც ცუდადაა. მუდამ აქტიური „შამპუნი“ ძლივს დალოლავდა ყინულზე.

**ფლორიდა 1:4 მონრეალი 0:2 1:0 0:2**
**0:1 ეშამი (3), 0:2 მარკოვი (8), 1:2 რიჩი (27), 1:3 ზედნიკი (41), 1:4 პეტროვი (47)**

ფლორიდას ერთბაშად ორი ბურე დააკლდა (პაველის გაცვლას ვალერის ტრავმა დაემატა) და ერთობ ინერტულადაც გამოიყურებოდა. ტრადიციისამებრ, „პანტერები“ თუ მიხვდნენ, რომ თამაშს ვერ გადაარჩენენ, ჩხუბით მაინც ამხნევებენ მაყურებელს. მაგრამ ამჯერად მაიკ კინენის მრავალრიცხოვან პოლიციელებს თითიც არ გაუნძრევიათ. მათ ძირითადი მეკარის, რობერტო ლუონგოს ტრავმის გამოც კი არ იძიეს შური. ლუონგო მასთან პირისპირ დარჩენილი რიხარდ ზედნიკის გაუვნებლებას რომ ცდილობდა, მაშინ იტკინა ფეხი.

**ტამპა 4:2 ატლანტა 0:2 4:0 0:0**
**0:1 კოუენი (8), 0:2 ბარტეჩკო (14), 1:2 კიფი (23), 2:2 ანდრეიჩუკი (31),3:2 ანდრეიჩუკი (34),4:2 კუბინა (36)**

უკვე 6 მატჩია, ტამპა არ აგებს.

**დალასი 3:2 სენტ ლუისი 0:0 2:2 1:0**
**1:0 ზუბოვი (22), 1:1 ხავანოვი (28), 1:2 ფერარო (31), 2:2 მატვიჩუკი (36), 3:2 მიულერი (42)**

ამ მატჩში განსაკუთრებულ ინტერესს დალასელთა სახელიანი ახალწვეულების — ჯეისონ არნოტისა და რენდი მაკეის დებიუტი იწვევდა. ცხადია, მთავარ შენაძენად არნოტი ითვლება, მაგრამ ექსნიუჯერსელმა ჯერაც ვერ მოირჩინა ზურგის ტრავმა, ამიტომ არ უთამაშია. მაკეის კი ბრწყინვალე დებიუტი გამოუვიდა. ბოლო ორი გოლი დალასმა სწორედ მისი პასების შემდეგ გაიტანა. განსაკუთრებით დიდი წვლილი გადამწყვეტ გოლში მიუძღვის. მაკეი თავად კრის პრონგერს გასცდა და შაიბა კართან მდგარ კირკ მიულერს გადააწოდა, რის შემდეგაც კიდევ ერთ ექსნიუჯერსელს გოლის გატანა არ გასჭირვებია. სენტლუისელთა ახალშენაძენმა რეი ფერარომ ახალ კლუბში მეორე შეხვედრა ჩაატარა და კვლავ გოლი გაიტანა.

**პიტსბურგი 1:3 ფინიქსი 1:0 0:1 0:2**
**1:0 კოვალიოვი (14), 1:1 დოუნი (32), 1:2 ნაგი (53), 1:3 ბრირი (58)**

რამდენიმე ძირითადი მოთამაშის გაცვლის შემდეგ (კასპარაიტისის გარდა კლუბი სტეფან რიშემაც დატოვა) პიტსბურგმა, როგორც ჩანს, საბოლოოდ ჩაიქნია ხელი. ათამაშებულ ფინიქსთან ალექსეი კოვალიოვის გარდა თავი არავის შეუწუხებია.

**ჩიკაგო 1:3 ნიუ ჯერსი 0:1 1:1 0:1**
**0:1 უაიტი (6), 0:2 მედენი (23), 1:2 ჟამნოვი (31), 1:3 ჩოლიკი (54)**

გენერალურ მენეჯერ ლუ ლამორელოს ძალისხმევით დედლაინის შემდეგ ნიუ ჯერსიში სრულიად ახალი და, როგორც ჩანს, ლიდერის ამბიციების მქონე ტრიო გაჩნდა. ახალშეძენილ სტეფან რიშეს, ჯემი ლანგენბრუნერისა და ჯო ნუინდაიკის სამეულმა უკვე თავის მეორე ცვლაში გოლი გამოჭედა. ნუინდაიკმა შაიბის ჩაგდება მოიგო, გადააწოდა რიშეს, ამ უკანასკნელმა მცველი კოლინ უაიტი მოძებნა, რომლის უძლიერესმა დარტყმამაც მეკარე ჟოსლენ ტიბო გააოგნა.

გოლამდე წუთით ადრე სერგეი ბრილინმა ბულიტი ვერ გამოიყენა, მაგრამ ნიუ ჯერსი არ დაიბნა და ანგარიშის გახსნის შემდეგ თამაშის სადავეები აღარც გაუშვია ხელიდან.

**ედმონტონი 2:1 სან ხოსე 1:1 0:0 1:0**
**0:1 რიჩი (10), 1:1 შეხტი (15), 2:1 კომრი (45)**

პაველ ბურეს რეინჯერსში მისვლის შემდეგ მაიკ იორკმა ზედმეტად იგრძნო თავი, დედლაინზე ედმონტონში გადაბარგდა (მის ნაცვლად ნიუიორკელებმა მომავალი ვარსკვლავი, მცველი ტომ პოტი შეიმატეს) და თავისი 57 ქულით „მენავთობეთა“ საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. თუმც ახალგამომცხვარმა ლიდერმა თავი ვერაფრით გამოიჩინა სადებიუტო მატჩში, რაც გადალლას დააბრალა.

# ტრაგიკული რიკოშეტი: მაღალი რიგი მაღალი რისკია

## ბრიტანი სესილმა ჰოკეი პირველად და უკანასკნელად ნახა

**ბრიტანი** სესილის ტრაგიკულმა სიკვდილმა ყოველივე ნჰლ-ური დაჩრდილა. ვიღას ახსოვს დედლაინი, რომელზეც ამდენი მნიშვნელოვანი ტრეიდი განხორციელდა.

ამ დღეებში გაირკვა უბედური შემთხვევის დეტალები, საიდანაც მთავარი ის არის, რომ თავიდან ბრიტანის ტრავმა სერიოზულად არავის აღუქვამს. მას შემდეგ, რაც ბორტის დამცავი შუშისგან ასხლეტილი შაიბა გოგონას თავში მოხვდა, მის მარცხენა საფეთქელზე სისხლის წვეთები გაჩნდა, მაგრამ ამას ძალიან არავინ შეუწუხებია. ბრიტანის პირსახოცი რომ მიაწოდეს, ბრიტანიმ საფეთქელზე მიიდო და სცადა, თამაშის ყურება განეგრძო, მაგრამ მალევე გაცხადდა, რომ მას ექიმების დახმარება დასჭირდებოდა.

„არანაირი ნევროლოგიური სიმპტომი არ ჰქონდა. თავიდან მოგვეჩვენა, რომ მას მხოლოდ კოსმეტიკური დახმარება და დამშვიდება სჭირდებოდა“ — ამბობენ ოჰაიოს ბავშვთა საავადმყოფოს ექიმები. მით უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა შემდგომი გართულება და ბოლოს საბედისწერო სიკვდილი.

ბრიტანი სესილის მშობლები ერთმანეთს კარგა ხანია, დაშორდნენ და გოგონა უქმეებზე და ზაფხულში მამას სტუმრობდა. ბრიტანი სკოლის საფეხბურთო გუნდში თამაშობდა და სპორტულ ღონისძიებებსაც ხშირად ესწრებოდა. იმ საბედისწერო დღეს ჰოკეიზე პირველად აღმოჩნდა. იმ თამაშში ბორტს იქით სამი შაიბა გადაფრინდა, საბედისწერო ბოლო იყო...

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო და ამ შემთხვევამ ჩააფიქრა ნჰლ-ის მამები. გადაწყვიტეს, დამატებითი ზომების მიღება რათა ამგვარი ტრაგედია აღარ განმეორდეს. ახლა გაახსენდათ, რომ, თურმე მატჩში საშუალოდ 3-დან 8 შაიბამდე მაინც ტოვებს ყინულს და ტრიბუნებისკენ მიფრინავს. ისიც გაიხსენეს, რომ მსგავსი უბედურება ადრეც მომხდარა. ორი წლის წინ ერთ-ერთ ქვედა ლიგის თამაშზე დაახლოებით ასეთივე სიტუაციაში დაიღუპა 21 წლის ჩად ჰილდებრანდი. კოლუმბიის „ნეიშნვაიდ არენაზე“ კი ორი წლის წინ 3 წლის ბიჭუნა დაზარალდა. მას 20 ნაკერი დაადეს. და



მინესოტა — კოლუმბუსი წუთიერი დუმილით დაიწყო. ყველაზე გულდამძიმებული, ცხადია, ესპენ კნუტსენი (მარჯვნივ) იყო

ეს მაშინ, როცა ამერიკაში დიდ ყურადღებას აქცევენ უსაფრთხოებას და თითქმის ყველაფერი გათვლილია. სარეკლამო პაუზებში ტაბლოზე იწერება, რომ მაყურებლებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. ყოველი ბილეთის უკანა მხარეზე დაწვრილებითი ინსტრუქციაა დაბეჭდილი. ბორტების შუშა საკმაოდ მაღალი, 2,5 მეტრია, თავად ბორტი კი მეტრს აღემატება. თუმც, როგორც ხედავთ, ეს საკმარისი არ არის, ვინაიდან ზედა რიგები ნაკლებად არის დაცული. ბედშავი ბრიტანი მე-19 რიგში იჯდა.

**სამველ ლარიბიანი**

# შენ სუ! სათქმელი ბევრია

## ავტოგრაფია და იეროგლიფია, შხვართია და შხლართია, კარგი გაიქცა და ცუდი წაიქცა...



ნაგანოს ერთი დღე ჩინელებს დარჩათ

**სპორტული** წყვილების ფინალურმა შეჯიბრმა, რომელიც იაპონური ნაგანოს „ემ ვეივ არენაზე“ გაიმართა, ფრიად დახლართულ სიტუაციაში ჩაიარა. უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს ყველა დისციპლინის მიმდევარმა ვარსკვლავებმა უგანეს. იგივე სპორტულ წყვილებში არ ჩანან ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე, აგრეთვე ჟამი სალე და დევიდ პელეტიე — ანუ სოლტ ლეიკის სიტის ოლიმპიადის ზიარი ჩემპიონები. ამ გარემოებამ ბევრს ამბიცია შემატა, თუმც ფავორიტებად მაინც რუსებს თვლიდნენ, ტატიანა ტოტმიანინას და მაქსიმ მარინინს, რომლებიც იაპონიას ევროპის ჩემპიონების რანგში ესტუმრნენ.

შეცდომებით სავსე გამოსვლები ბლომად იყო. რუსები ერთხელ სამმაგი ხტომისას წაიქცნენ და მეორედაც თითქმის გაიშხლართნენ. კიოკო ინას და ჯონ ციმერმანის ასევე პრეტენზიული ამერიკული წყვილი სამჯერ მძიმედ შეცდა და ერთხელ მაგრად მიჰქარეს ჩინელებმაც, შენ სუმ და ჟაო ჰონკპომ, მაგრამ ამათი სხვა ნახტომები აკრობატიზმის ისეთ მაღალ დონეზე შესრულდა, რომ მსაჯებს ცუდი ნიშნების დასაწერად ხელი არ მოუბრუნდათ. შედეგად, ჩინელებმა თავიანთი ისტორიის მეორე ფიგურული ოქრო ჩამოიკიდეს. ჩინურ ტიტულთა აღრიცხვას დასაბამი ჩენ ლუმ მისცა 1995 წელს, ბირმინგემში, როცა ქალთა ერთეულებში გაიმარჯვა და ზუსტად მაგის პასუხია: ნაგანოში ყინულზე ეულად მოკეკლუცე ქალებში აშკარად ორნი გამოირჩევიან, ამერიკელი მიშელ კვანი და რუსი ირინა სლუცკაია.

ესენი თავობენ საკვალიფიკაციო ჯგუფებს და კვანმა გუშინ საერთოდ თავი გაიგიჟა, როცა შარშანს მერე პირველად წყვილი სამმაგი ნახტომი შეასრულა და ექვსი უნაკლო სამმაგი სკუპიც ზედ დაურთო. ჩემპიონატზე სარა ჰიუზი არ გამოდის, სკოლაში ცოდნის გაღრმავება არჩია და ნაგანოში კი ცეკვებიც იმართება. ამ დისციპლინის ოლიმპიურ ჩემპიონებს გვენდალ პეიზერას და მარინა ანისინას ყინულზე ვერ ვხედავთ. არც იტალიელები, ბარბარა ფუზარ-პოლი და მაურისიო მარგალიო ჩანან, ოლიმპიადაზე მსაჯთა უნამუსო ქმედებებმა ფსიქოლოგიურად დაგვთრგუნა და ცეკვის ხალისი არ გვაქვსო. მოკლედ, ნოყიერი ნიადაგია ირინა ლობაჩევას და ილია ავერბუხის გასაჩემპიონებლად და ესენიც საქმეს ჯერ მუყაითად მისდევენ, ორიგინალური ცეკვების შემდეგ პირველები არიან.

**დავით გულუა**



# დედანატირებზე ბიჭის მხიარული ისტორია

**მინეაპოლისში** ამერიკის საგაზაფხულო ჩემპიონატია. თავისთავად ამერიკის ნებისმიერი ჩემპიონატი საყურადღებო იქნებოდა, ელიტის ნაწილი მაინც რომ ცურავდეს, რადგან ამ სახეობაში მსოფლიოს რეკორდები ბოლო წლებში ბანალურ ამბად იქცა და ავსტრალიელებთან ერთად იანკები ის ხალხია, ვისგანაც ახალი სიმაღლე არც ერთ წამს არ უნდა გაგვიკვირდეს. აი, მაგალითიც: სწორედ მინეაპოლისში, ძირითადად ახალთაობის სპორტულ ფორუმზე ერთი მსოფლიოს რეკორდი უკვე დამყარდა. მისი ავტორია 18 წლის არონ პეირსოლი.

„ირვინ ნოვაკუატიკსის“ კლუბის წევრმა გუშინწინ ზურგზე წოლისას ისე ეფექტურად აფართხუნა ხელები, რომ 200 მეტრზე 1.55,15 უჩვენა, ეს კი 0,72 წამით მეტია, ვიდრე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ლენი კრეიზელბურგის მანამდელი რეკორდი, რომელიც საცურაო საზომებით კარგა ხნის წინ, 1999 წელს, წყნარი ოკეანის ჩემპიონატზე დამყარდა.

„რეკორდსმენობა დიახაც სასიამოვნო გრძნობა ყოფილა — აღნიშნა პეირსოლმა — ჩემი მწვრთნელი ტიროდა, ჩემი ოჯახი ტიროდა, მოკლედ, ჩემს გარდა ყველა ტიროდა. რატომ მე არა? ცრემლის გადმოგდების ძალაც აღარ მქონდა შერჩენილი“.

მართლაც, ახალი რეკორდის დამყარებას ემოციათა დიდი ზვავი მოჰყვა. მწვრთნელი დეივ სალო, თანაკლუბელები, ახლობლები პეირსოლისკენ გაქანდნენ და ხვევნით კინაღამ დაახრჩვეს. ბევრად ნაკლები გახლდათ ემოციური ფონი 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვის შემდეგ, სადაც ინტრიგა ზორბა იქნებოდა, ოლიმპიურ ჩემპიონ ტომ მალკოუს და მსოფლიოს რეკორდსმენ მაიკლ ფელპსს გვერდიგვერდ რომ ეცურათ, მაგრამ ფელპსი იქ არ იყო და მალკოუმ უპრობლემოდ გაიმარჯვა, ოღონდ მისი 1.55,13 ფელპსის მსოფლიო რეკორდს ნახევარ წამზე მეტით აღემატა.

**დავით გულუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არა ხოლო ეროგენულითა

კიოკო ინა და ჯონ ციმერმანი ამერიკელი მეფიგურსრიალეები გახლავან. სხვა, მათებრ ჩაუქი წყვილების მსგავსად ამ დღეებში ისინიც ნაგანოში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ნავარდობდნენ და არც, აი, ეგეთ სუპერეროტიკულ ილეთებს მორიდებიან. ოღონდ ეგაა, რომ მსაჯები ამით დიდად არ მოხიბლულან და ოქრო-ვერცხლი იმათ არგუნეს, ვინაც მათ თავიანთი ეროგენული ზონების გარდა დახვეწილი მალაყებითა და უშეცდომო ღერძბრუნვებითაც აამეს.



REUTERS ნაგანოდან



# ჩასოუსლებულა

განთქმული მოკრივე შუგარ შეინ მოზლი და მისი ფეხმძიმე თანამეცხედრე, კოხტა ჯინა ლოს ანჯელესში სოულის სტილში მემუსიკეთა მე-16 ყოველწლიურ მღერა-დაკვრაზე ჩასულან. ფოტოზე ეს ნატიფი წყვილი მაშინ დაუფიქსირებიათ, როცა ჯინა მაგანი სექსკორესპონდენტით მოხიბლულ ქმარს ეუბნება, წამო, ბიჭო, შესასვლელი აქეთ არისო...

# ვაგონი მიჰქრის

ეს ვაგონი სამხრეთკორეის მთავარქალაქ სეულში მიჰქრის. მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატამდე სამი კაცის ხელფეხის თითებზე დასათვლელი დღეები დარჩენილა და იქაური მამებიც ყველანაირად ცდილობენ, ხალხის ყურადღება ამთავითვე საფეხბურთო რეალიებით დაატყვევონ...

ამ შმაგად სახეგადალესილი მობურთალის ვინაობა არავინ უწყის, მაგრამ მანაც და აგერ ვაგონის იატაკზე ფოსფორით ამოშანთულმა 2002-მაც ყველას ის ამბავი უნდა შეახსენოს, რომ გაზაფხულისა და ზაფხულის მიჯნაზე სამხრეთ კორეასა და იაპონიაში დიდი ბურთაობა უნდა გაჩაღდეს.





REUTERS სეულიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge